



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302534431
თარიღი: 10/12/2025

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

1. წარმოგიდგინო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტს.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტის დოკუმენტს.
3. ინფორმაციას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.
4. 2026 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს.
5. 2025 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშს.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები). მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებია.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **22074,4** ათას ლარს შეადგენს.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **21588,4** ათას ლარს შეადგენს.

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16176,4 ათასი ლარით;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 7,8 %-ით (1176,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2200,0 ათას ლარს;

2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 600 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 486 ათასი ლარით, მათ შორის:

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 25,9 % ით გაიზარდა.

მიზნობრივი გრანტი 486,0 ათ ლარი

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 540,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ რენტა 490,0 ათასი ლარი;

- ✓ პროცენტები 50 ათასი ლარი

2025 წლის გეგმიური მაჩვენებელი 100 ათასი ლარით შემცირებულია, რაც გამოწვეულია პროცენტების შემოსავლის შემცირებით.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 72,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 20,0 ათასი ლარი;

- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;
- ✓ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 40,0 ათასი ლარი;

აღნიშნული შემოსავლები 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2500.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით.

- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირსაგამტეხლოდან) 100,0 ათასი ლარი
- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 100,0 ათასი ლარს;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 29,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 27659,4 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 700,6 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 4717,4 ათასი ლარი;
- მათ შორის:
 - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 833,4 ათასი ლარი;
 - ✓ წყლის სისტემების განვითარება -572,0 ათასი ლარი;
 - ✓ გარე განათება - 850,0 ათასი ლარი;
 - ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებები-1312,0 ათასი ლარი;
 - ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 750,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

- ✓ სოფლის პროგრამის მხარდაჭერა 300 ათასი ლარი

- ✓ ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი
- დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3275,0 ათასი ლარი, მათ შორის:
- ✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2880,0 ათასი ლარი
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.
 - ✓ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 375,0 ათასი ლარი
მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.
 - ✓ უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.
- განათლება - 5560,0 ათასი ლარი, მათ შორის:
- ✓ სკოლამდელი განათლება - 5500,0 ათასი ლარი;
 - ✓ განათლების ხელშეწყობა - 60,0 ათასი ლარი
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5525,3, ათასი ლარი მათ შორის:
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2690,0 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.
 - ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 2800,3 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.
 - ✓ ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 35,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1855,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 310.0 ათ ლარი
- **სოციალური პროგრამები - 1545,0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

ათ ლარი

სოციალური დაცვა	1,545.0
შშმ პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამა აერთიანებს	176.0
მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა	45.0
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	250.0
სარეაბილიტაციო ცენტრ "იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა	20.0
მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	20.0
მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	190.0
მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა(პროგრამა აერთიანებს	106.0
ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	55.0
მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	130.0
ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა	80.0
მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	57.0
აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	180.0
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	176.0
რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	60.0

- **მმართველობა - 6726,7 ათასი ლარი, მათ შორის:**
- ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1669 ათასი ლარი;
- ✓ მერია - 4648,6 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 34,1 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 29,1 ათასი ლარი და პროცენტი -5 ათასი ლარი.
- ✓ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 5,0 ათასი ლარი

✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 300,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

		/ათასი ლარი/
-	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	27659,4
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6726,7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6317,6
01 01 01	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1669
01 01 02	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	4648,6
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	409,1
01 02 01	სარეზერვო ფონდი	70,0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	5
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	34,1
01 02 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	300
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4717,4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	833,4
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	518,4
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	150
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	165
02 02	წყლის სისტემების განვითარება	572
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	350
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	222
02 03	გარე განათება	850
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	850
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1312
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	450
02 06 02	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა	550
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	300
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	12,0
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	750
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	300
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	100
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3275
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2880
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	375
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	20,0
04 00	განათლება	5560
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5500
04 03	განათლების ხელშეწყობა	60
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5525,3
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2690
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2050
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	950

05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	250
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	200
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	650
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	90
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	550
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2800,3
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2675,3
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	1917
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	758,3
05 02 02	კულტურის ხელშეწყობა	85,0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	35
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1855
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	310
06 02	სოციალური დაცვა	1545
06 02 01	შშმ პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამა აერთიანებს	176,0
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა	45,0
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	250,0
06 02 04	სარეაბილიტაციო ცენტრ "იანანას" თანადაფინანსების პროგრამა	20,0
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	20,0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	190,0
06 02 07	მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა(პროგრამა აერთიანებს	106,0
06 02 08	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	55,0
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	130,0
06 02 10	ლანჩუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა	80,0
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	57,0
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	180,0
06 02 24	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	176,0
06 02 25	რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	60,0

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაფინანსება განსაზღვრულია 486, ათასი ლარით.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

➤ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6697,6 ათასი ლარი;

- ეკონომიკური საქმიანობა - 1483,4 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 3255 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3254 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა 310 ათასი ლარი
- დასვენება, კულტურა და რელიგია-5525,3 ათასი ლარი;
- განათლება -5560 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა -1545 ათასი ლარი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები);
2. ინფორმაცია 2025 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 00

2025 წლის 00 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით

მუხლი 2. დადგენილების ამოქმედებისთანავე გამოცხადდეს ძალადაკარგულად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 24 დეკემბრის „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ N16 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - www.matsne.gov.ge 01/01/2025, სარ. კოდი 190020020.35.112.016549).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

დანართი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი

თავი I.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	40,262.6	55,669.5	23,923.4	31,746.1	22,074.4	22,074.4	-
გადასახადები	14,836.5	16,600.3	16,600.3	-	18,376.4	18,376.4	-
გრანტები	20,974.0	34,631.4	2,885.3	31,746.1	486.0	486.0	-
სხვა შემოსავლები	4,452.2	4,437.8	4,437.8	-	3,212.0	3,212.0	-
II. ხარჯები	20,351.8	32,833.3	20,970.6	11,862.7	23,665.1	23,665.1	-
შრომის ანაზღაურება	7,689.6	9,357.7	9,293.9	63.8	10,612.8	10,612.8	-
საქონელი და მომსახურება	9,570.2	10,242.7	8,745.8	1,496.9	9,490.9	9,490.9	-
პროცენტი	11.4	10.0	10.0	-	5.0	5.0	-
სუბსიდიები	992.7	1,355.9	1,355.0	0.9	1,491.0	1,491.0	-
გრანტები	9.9	10.7	10.7	-	17.0	17.0	-

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
სოციალური უზრუნველყოფა	1,047.1	1,245.5	1,245.5	-	1,494.3	1,494.3	-
სხვა ხარჯები	1,031.1	10,610.8	309.6	10,301.2	554.1	554.1	-
III. საოპერაციო საღდო	19,910.8	22,836.2	2,952.8	19,883.4	- 1,590.7	- 1,590.7	-
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	23,101.4	26,076.8	5,056.1	21,020.7	3,865.2	3,865.2	-
ზრდა	23,441.8	26,325.2	5,304.5	21,020.7	3,965.2	3,965.2	-
კლება	340.4	248.4	248.4		100.0	100.0	
V. მთლიანი საღდო	- 3,190.7	- 3,240.6	- 2,103.4	- 1,137.3	- 5,455.9	- 5,455.9	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 3,248.7	- 3,298.7	- 2,161.4	- 1,137.3	- 5,485.0	- 5,485.0	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-			-		
კლება	3,248.7	3,298.7	2,161.4	1,137.3	5,485.0	5,485.0	-
ვალუტა და დეპოზიტები	3,248.7	3,298.7	2,161.4	1,137.3	5,485.0	5,485.0	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 58.1	- 58.0	- 58.0	-	- 29.1	- 29.1	-
კლება	58.1	58.0	58.0	-	29.1	29.1	-
საშინაო	58.1	58.0	58.0	-	29.1	29.1	-
სესხები	58.1	58.0	58.0		29.1	29.1	
VIII. ბალანსი	-	0.0	0.0	- 0.0	- 0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	40,603.0	55,917.9	24,171.8	31,746.1	22,174.4	22,174.4	-
შემოსავლები	40,262.6	55,669.5	23,923.4	31,746.1	22,074.4	22,074.4	-
არაფინანსური აქტივების კლება	340.4	248.4	248.4		100.0	100.0	-
გადასახდელები	43,851.6	59,216.6	26,333.2	32,883.4	27,659.4	27,659.4	-
ხარჯები	20,351.8	32,833.3	20,970.6	11,862.7	23,665.1	23,665.1	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	23,441.8	26,325.2	5,304.5	21,020.7	3,965.2	3,965.2	-
ვალდებულებების კლება	58.0	58.1	58.1	-	29.1	29.1	-
ნაშთის ცვლილება	- 3,248.7	- 3,298.7	- 2,161.4	- 1,137.3	- 5,485.0	- 5,485.0	-

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 22,074.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	40,262.6	55,669.5	23,923.4	31,746.1	22,074.4	22,074.4	-
გადასახადები	14,836.5	16,600.3	16,600.3	-	18,376.4	18,376.4	-
გრანტები	20,974.0	34,631.4	2,885.3	31,746.1	486.0	486.0	-
სხვა შემოსავლები	4,452.2	4,437.8	4,437.8		3,212.0	3,212.0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 18,376.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	14,836.5	16,600.3	16,600.3	-	18,376.4	18,376.4	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	13,120.6	15,000.3	15,000.3		16,176.4	16,176.4	
ქონების გადასახადი	1,715.9	1,600.0	1,600.0	-	2,200.0	2,200.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	726.2	740.0	740.0		740.0	740.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3.7	-			600.0	600.0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	51.8	10.0	10.0		10.0	10.0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	216.8	200.0	200.0		200.0	200.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	717.4	650.0	650.0		650.0	650.0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 486 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
გრანტები	20,974.0	34,631.4	486.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	316.14	247.22	
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	20,657.8	34,384.2	486.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	270.0	288.3	486.0
კაპიტალური ტრანსფერი	8,611.6	7,147.6	
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	11,776.2	26,948.3	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	8,925.2	22,187.6	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები	748.0	748.0	
სხვა სახის ტრანსფერები	2,103.0	4,012.6	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3,212.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	4,452.2	4,437.8	3,212.0
შემოსავლები საკუთრებიდან	714.2	640.0	540.0
პროცენტები	163.0	150.0	50.0
რენტა	551.2	490.0	490.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	167.8	72.0	72.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	89.3	32.0	32.0
სანებართვო მოსაკრებელი	75.1	20.0	20.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის	0.3		

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.1		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	13.8	12.0	12.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	78.5	40.0	40.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	3,409.8	3,472.5	2,500.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	160.5	253.3	100.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 23,665.1 ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	20,351.8	32,833.3	20,970.6	11,862.7	23,665.1	23,665.1	-
შრომის ანაზღაურება	7,689.6	9,357.7	9,293.9	63.8	10,612.8	10,612.8	-
საქონელი და მომსახურება	9,570.2	10,242.7	8,745.8	1,496.9	9,490.9	9,490.9	-
პროცენტები	11.4	10.0	10.0	-	5.0	5.0	-
სუბსიდიები	992.7	1,355.9	1,355.0	0.9	1,491.0	1,491.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,047.1	1,245.5	1,245.5	-	1,494.3	1,494.3	-
სხვა ხარჯები	1,031.1	10,610.8	309.6	10,301.2	554.1	554.1	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 3,865.2 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3,965.2 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 100.0 ათასი ლარით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	ათას ლარში		
		2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,212.4	1,337.3	465.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,212.4	1,337.3	465.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	18,476.4	21,063.1	2,633.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,032.1	15,576.4	618.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	81.4	390.0	385.0
02 03	გარე განათება	3.8	-	-
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	128.2	792.9	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	173.7	100.0	630.0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	19.0	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	585.2	967.8	700.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,668.6	1,951.6	-
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	784.4	1,284.4	300.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	106.0	40.0	150.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	106.0	40.0	150.0
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	განათლება	202.2	492.8	31.3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	202.2	31.3	31.3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	461.5	-
04 03	საბაზო ზოგადი განათლება	-	-	-

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,357.5	3,384.4	680.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,753.4	3,348.7	660.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	604.1	35.7	20.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	87.3	7.7	5.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	87.3	7.7	5.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	23,441.8	26,325.2	3,965.2

<i>ათას ლარში</i>			
დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	340.4	248.4	100.0
ძირითადი აქტივები	308.9		
არაწარმოებული აქტივები	31.5	248.4	100.0
მიწა	31.5	248.4	100.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

<i>ათას ლარში</i>				
ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7,092.5	6,922.7	6,697.6
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,081.1	6,912.7	6,692.6
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,081.1	6,837.7	6,617.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	75.0	75.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	11.4	10.0	5.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	15,772.9	16,139.3	1,483.4
7.4.5	ტრანსპორტი	15,772.9	16,139.3	1,383.4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	15,540.9	16,040.3	833.4
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	232.0	98.9	550.0
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში		-	100.0
7.5	გარემოს დაცვა	2,433.4	2,663.2	3,255.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2,433.4	2,663.2	3,255.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	5,121.2	14,651.3	3,254.0
7.6.1	ბინათმშენებლობა	847.7	8,377.9	-
7.6.3	წყალმომარაგება	229.4	563.7	572.0
7.6.4	გარე განათება	741.2	855.4	850.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	3,302.9	4,854.2	1,832.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	297.3	291.0	310.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	297.3	291.0	310.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	6,104.4	7,792.0	5,525.3
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,598.6	5,359.9	2,690.0

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	2,465.7	2,392.1	2,795.3
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.9	განათლება	5,766.6	6,678.3	5,560.0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	4,162.9	5,000.0	5,500.0
7.9 2	ზოგადი განათლება	1,603.7	1,678.3	60.0
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	1,603.7	1,678.3	60.0
7 10	სოციალური დაცვა	1,134.7	4,020.8	1,545.0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	251.6	300.0	190.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	4.5	4.5	-
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	217.7	223.9	245.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	70.0	70.0	80.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	591.0	3,422.4	1,030.0
	სულ	43,723.0	59,158.5	27,630.3

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს **-5,455.9** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **1,590.7** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	19,910.8	22,836.2	- 1,590.7
მთლიანი სალდო	- 3,190.7	- 3,240.6	- 5,455.9

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **5,485.0** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 3,248.7	- 3,298.7	- 5,485.0
კლება	3,248.7	3,298.7	5,485.0
ვალუტა და დეპოზიტი	3,248.7	3,298.7	5,485.0

ფინანსური აქტივების კლება **5,485.0** ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება **2026** წლის განმავლობაში.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 3690,7 ათ.ლარი. მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ჯამმა შეადგენა 1399,1 ათ. ლარი. აქედან 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის **74,4** ათ. ლარი; 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერი **214,6** ათ. ლარი; სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი **101,3** ათ. ლარი; 2019 წლის 14 მაისის N1063 განკარგულების ნაშთი **13,3** ათ. ლარი; 2020 წლის 19 მარტის N574 განკარგულების ნაშთი **46,2** ათ. ლარი; 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულების ნაშთი **55,6** ათ. ლარი; N1419 განკარგულების ნაშთია **135,2** ათ ლარი; ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სტიქიის სალიკვიდაციო

ლონისძიებების სალიკვიდაციოდ განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 574,2 ათ. ლარი. 2023 წლის N1740 განკარგულებით 61,1, 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულებით 62,9 ათ ლარი და 23 ივლისის N1025 განკარგულებით 55,9 ათ ლარი

არსებული ნაშთებიდან მიიმართა 2025 წლის ბიუჯეტში შესაბამისი სამუშაოების დასაფინანსებლად 1137.3 ათ. ლარი, ხოლო 261.8 ათ. ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას. სახაზინო ანგარიშზე არსებული 2291,6 ათ. ლარი ნაშთიდან 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 2291,6 ათ. ლარი.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 34,1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 29,0 ათას ლარს.

თავი II. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4717.4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4,717.4	7,435.0	8,158.0	8,825.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა	833.4	3,265.0	3,768.0	4,270.0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	518.4	3,000.0	3,500.0	4,000.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	150.0	200.0	200.0	200.0
02 01 03	საგზაონიშნები და უსაფრთხოება	165.0	65.0	68.0	70.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	572.0	520.0	630.0	640.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	350.0	300.0	400.0	400.0
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	222.0	220	230	240
02 03	გარე განათება	850.0	900.0	905.0	910.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	850.0	900	905	910
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,312.0	952.0	1,057.0	1,157.0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	450.0	250.0	300.0	350.0
02 06 02	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა	550.0	600.0	650.0	700.0
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	300.0	90.0	95.0	95.0
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	12.0	12	12	12
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	750.0	750.0	750.0	800.0
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	300.0	1048	1048	1048
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	100.0			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		518,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ხიდების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს პროექტები, რომელიც იღვალისწინებს პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3, მიზანი 9, მიზანი 11		
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		150
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას, მილხიდების რეაბილიტაციას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3, მიზანი 9, მიზანი 11		
მიღწეული შედეგი	ქ. ლანჩხუთში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2026 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		572
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში წყლის მიწოდება;		

	<p>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს;</p> <p>- წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა.</p> <p>ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 6
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრება დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		350
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ახალი წყლის სისტემების ქსელზე მიერთების საფასურის გადახდა.</p> <p>გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 6		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა წყალზე;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		222
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) 5600 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> - დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები. - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - დაზიანებული ტუმბოების შეკეთება; 		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 6		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		850

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 75%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1100-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 8000-ზე მეტ სანათ წერტილს, 30000 გრძელ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 500,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> - გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია; - კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში. <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2025 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>
<p>კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან</p>	<p>მიზანი 11</p>
<p>პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში 850
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.</p> <p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%. (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება. 		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში 450
-------------------------	-------------------------	--	-------------------------------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის გამარჯვებული პროექტი,
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობისთვის ქუჩის ალტერნატივის შექმნა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		550
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შპს ლანჩხულის სატრანსპორტო კომპანია უზრუნველყოფს ლანჩხუთის ადმინისტრაციულ საძღვრებში ტრანსპორტით მომსახურებას , კერძოდ ; 5 ერთეული ავტობუსით მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას და 2 JCB ექსკავატორით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჭიროების შესაბამისად მომსახურებას		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტით შეუფერხებელი გადაადგილება, მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად ექსკავატორით სამუშაოების განხორციელება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		300
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. საახალწლოდ შესაბამისად განხორციელდება ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებებით; მოირთვება ქალაქ ლანჩხუთის ცენტრალური მოედანი, შადრევანი და მიმდებარე ქუჩები.</p> <p>ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის. ახალი ნაძვის ხის შექმნა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმების სამუშაოები: საახალწლო ნათურების მონტაჟი, ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი /დემონტაჟის ღონისძიებები და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის ქალაქის გაფორმება.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი; მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		750
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 9
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		300
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 9 მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,275.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში			
		2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3275	3400	3530	3650
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2880	2980	3100	3200
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	375	390	400	420
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	20	30.0	30.0	30.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2880

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები.</p> <p>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას. დასუფთავების ღონისძიებები ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებიდან. რომელსაც ემსახურება 34 მექოვანე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1200 ურნა, ყოველდღიური დასუფთავების შედეგად მუნიციპალიტეტიდან გადის 85 მ³ ნარჩენის გატანა ხორციელდება 13 ნაგავშიდის მეშვეობით ფოთის, ურეკის და ოზურგეთის (მერის) ნაგავსაყრეზე.</p> <ul style="list-style-type: none"> - ფინანსდება მიმდინარე სუფსაზე არსებული ნაგავჩამკეტის გაწმენდითი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც 2 დღეში ერთხელ ძრავიანი ნავის საშუალებით ხორციელდება მდინარის გაწმენდა ნარჩენებიდან. - მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დასუფთავების ღონისძიებების განხორციელების მიზნით დამატებით საჭიროა ურნებისა და სპეც მანქანების შესყიდვა.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		375
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხეების გადაბეღვა და შეთეთრება, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისდელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის დელის სასაფლაოების მოვლითი ღონისძიებები 10800 კვ/მეტრს ფართზე. - დაზიანებული ღობის შეკეთება, შეღებვას;</p> <p>ქვეპროგრამა ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქის ლანჩხუთში სკვერებისა და პარკების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან.</p> <p>- ასევე ხორციელდება სკვერებისა და პარკების როგორც შეწამვლითი და გაცელვითი სამუშაოები.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, რის შედეგაც მიღებული იქნება გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

ქვეპროგრამის	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
--------------	------	--	------------------------

დასახელება	03 04	20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების გადაყვანა კასტრაცია, ვაქცინაციის მიზნით.	
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელთა დაცვა მაწანწალა ძაღლებისაგან.	

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5,560.0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
04 00	განათლება	5,560.0	5,760.0	5,965.0	6,170.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5,500.0	5700	5900	6100
04 03	განათლების ხელშეწყობა	60.0	60	65	70

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		5500
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 19 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 720 ბავშვი აქედან გოგონა 350 და ბიჭი 370. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 379 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბავა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბავა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p>		

	<p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 4
მოსალოდნელი შედეგი	<p>ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.</p> <p>ა(ა)იპ ში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		60
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;</p> <p>ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ;</p> <p>ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი;</p> <p>სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრით.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 4		
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.</p>		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5,525.3 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	ათას ლარში		
			2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,525.3	5,860.0	6,397.0	6,804.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,690.0	2,790.0	3,112.0	3,314.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,050.0	2,200.0	2,320.0	2,420.0
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	950.0	1000.0	1050.0	1100.0
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	250.0	260.0	270.0	280.0

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	200.0	220.0	230.0	240.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	650.0	720.0	770.0	800.0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	90.0	90.0	92.0	94.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	550.0	500.0	700.0	800.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,800.3	3,030.0	3,240.0	3,440.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2,675.3	2,900.0	3,100.0	3,300.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	1,917.0	2100.0	2250.0	2400.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	758.3	800.0	850.0	900.0
05 02 02	კულტურის ხელშეწყობა	85.0	90.0	100.0	100.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	35.0	40.0	45.0	50.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		950
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს 18 წლამდე მოზარდებში ფსიქოლოგიურ , სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება სპორტული ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, ცურვა მაგიდის ჩოგბურთი, კარატე, ჭადრაკი, კალათბურთი და სპორტული ტანვარჯიში. სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 380 ბავშვი, აქედან გოგონა 85 და ვაჟი 295. რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4ჯერ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: ისეთი ღონისძიებების მოწყობა, რომლებიც ორიენტირებული იქნება: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციას,</p> <p>ასევე ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის სწორ მენეჯმენტს; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გარღმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		250
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას (ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს ყველა სპორტულ ღონისძიებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		200
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია ქალთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 5		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		650
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საფეხბურთო სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის ჭაბუკთა 9 და გოგონათა 1 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 200 ბავშვი, აქედან ვაჟი 180 და გოგონა 20. რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 45 ადამიანი აქედან: 23 ტექნიკური პერსონალი და 22 მწვრთნელი . სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.</p> <p>სკოლის ფეხბურთელების 5 ასაკობრივი გუნდი U-10, U-11, U-12, U-14 მონაწილეობას იღებს სამეგრელო ზემო- სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ასაკობრივ ჯგუფების გათამაშებაში.</p> <p>U-15 ასაკობრივი ჯგუფი მონაწილეობას ღებულობს სფფი-ს ეგიდით გამართულ ჭაბუკთა ლიგის 15 წლამდე „ბრინჯაოს“ ლიგის გათამაშებაში, ასევე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ტურნირებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: -ფეხბურთის პოპულარიზაცია</p>		

	-ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; -მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეს ქუჩისთვის მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3
მოსალოდნელი შედეგი	საფეხბურთო სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		90
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე-ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული, ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3 მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა. მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, წარმატებული და ღვაწლმოსილი სპორტსმენების და მწვრთნელების დაფასება და მათი მოტივაციის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდება სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 03		550
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აშენდება სტადიონები.</p> <p>2024 წელს საქართველოს მთავრობის 28/12/2023 წლის N2402 განკარგულებით დაიწყო ქ.ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომელიც გაგრძელდება 2025 წელს და დასრულდება.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა სხვადასხვა სპორტის სახეობებში;</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3 მიზანი 9 მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპორტულ		

ღონისძიებებში ჩართვა. მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მათი მოტივაციის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		1917
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 4 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. გობელენის ქსოვის შემსწავლელი და სამხატვრო წრე. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 235 აღსაზრდელი, აქედან გოგონა 140 და ბიჭი 95. ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 225 მონაწილე. გობელენის შემსწავლელ წრეში 10 მოსწავლე. მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 106000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე.</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. პერიოდულად იმართება სპექტაკლები, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 2 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 1 ახალი წარმოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს. შედგა 1 ახალი სპექტაკლის პრემიერა.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა. სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		758,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა.</p> <p>სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 300 ბავშვი. აქედან გოგონა 240 და ბიჭი 60.</p> <p>სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს, ხაზვას, გრაფიკულ დიზაინს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 180 ბავშვი. აქედან გოგონა - 135, ბიჭი - 45</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი).</p>		

	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 4 მიზანი 11
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		85
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11		
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 04		40.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა- 40000 ლარი		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილი რელიგიის მხარდაჭერა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		35

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში.</p> <p>ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით.</p> <p>პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 11
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის-ინტეგრირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელება და ხელშეწყობა.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,855.0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,855.0	1,899.0	2,010.0	2,146.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	310.0	330.0	350.0	400.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	310.0	330	350	400
06 02	სოციალური დაცვა	1,545.0	1,569.0	1,660.0	1,746.0
06 02 01	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	176.0	180	190	200
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა	45.0	50	55	60
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	250.0	200	210	220
06 02 04	სარეაბილიტაციო ცენტრ "ივენანას" თანადაფინანსების პროგრამა	20.0	21	22	23
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	20.0	20	20	20
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	190.0	200	220	240
06 02 07	მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	106.0	120	130	140
06 02 08	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	55.0	58	58	58
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	130.0	140	150	150

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
06 02 10	ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა	80.0	85	90	95
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	57.0	60	65	70
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	180.0	190.0	200.0	210.0
06 02 24	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	176.0	185	190	200
06 02 25	რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	60.0	60.0	60.0	60.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		310
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		

პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნოზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა 5 C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება (სკრინინგი) 6 კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა 7 C ჰეპატიტის მიდევენების პროგრამა (დადებითი ბენეფიციარების კონფირმაციულ კვლევებსა და მკურნალობაში ჩაბმის მომსახურება). 8. მაღარიის და სხვა ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების გავრცელების კერებში მათ წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

პროგრამის დასახელება	კოდი	შპმ პირთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის დასახელება	06 02 01	შპმ პირთა დახმარების პროგრამა	176
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრამდე ტრანსპორტირებისთვის დაუფინანსდება ტრანსპორტირების ხარჯი თითო ბენეფიციარზე ყოველთვიურად 90 ლარის ოდენობით, ხოლო პერიტონიულ დიალიზზე მყოფ ბენეფიციარს დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრში თვეში 4 ვიზიტი 64 ლარის ოდენობით სხვა ქალაქში (ბათუმი). 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 16 ბენეფიციარმა საიდანაც 14 კაცი და 2 ქალი“</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შპმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ურეკში, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს,დახმარების თანხა დღიური 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით</p>	

	<p>თანმხლებ პირზე. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. 2025 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა. საიდანაც ბიჭი 9 გოგო 18.</p> <p>ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, ასევე ქ. ლანჩუთში მიმდებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები რომლებიც სარგებლობენ ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში განხორციელდება სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯის თანადაფინანსება სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი თუ სკოლა ან/და ცენტრში მიწოდების შემთხვევაში, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯი. პროექტის ფარგლებში (თითო ბავშვთან თვეში 8 ვიზიტი) განხორციელდება. მგზავრობის საფასური შეადგენს 6 ლარს. ხოლო ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას. მკურნალობის კურსი ტარდება 12 თვის განმავლობაში თვეში 10 დღე. ორიენტაცია აღებულია ქუთაისის, ჩაქვის, ბათუმისა და დაბა ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრებზე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვისა და ერთი თანმხლები პირის ტრანსპორტირება მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციამდე და უკან (ქუთაისი, ბათუმი ერთი მიმართულებით 7 ლარი, ჩაქვი 6 ლარი, დაბა ურეკი 3 ლარი, შიდა გადაადგილებისთვის 2 ლარი სერვისის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწოდების შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება შპს „ავტო-2018“ მიერ მოწოდებული ფასების მიხედვით) მიმდინარე წელს ზემოაღნიშნული ქვეპროგრამები გათვლილია 105 ბავშვზე. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.“</p> <p>2025 წელს პროგრამით ისარგებლა 103 ბენეფიციარმა საიდანაც ბიჭი 67 გოგო 36.</p> <p>ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზრდასრული შშმ ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრის მომსახურებით შშმ პირთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ტრანსპორტირების თანადაფინანსება. თანადაფინანსება განხორციელდება ყოველკვარტაკურად 1250 ლარის ოდენობით. პროგრამის განხორციელებით ზრდასრულ 9 შშმ ბენეფიციარის დღის ცენტრში ტრანსპორტირებას შეწყობა ხელი.</p> <p>ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდარეო საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებული ბენეფიციარის დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა.</p> <p>2025 წელს პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა . გოგო 2 ბიჭი 2.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 3, მიზანი 1
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელია 179 ბენეფიციარის ფინანსური მხარდაჭერა.

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 02 02		45
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 50(ორმოცდაათი) ლარს. პროგრამით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 12 მრავალშვილიანი ოჯახი. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 13 ოჯახმა- ბავშვების რაოდენობა 50, საიდანაც გოგო 44 ბიჭი 29.</p> <p>დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახზე, 2026 წელს შეძენილ მესამე და ყოველი მომდევნო ახალშობილის შეძენაზე- ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულის მიუხედავად. პროგრამით შესაძლებელი იქნება 15 ოჯახის ფინანსური დახმარება.</p>	

კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 14 მრავალშვილიანი ოჯახის და მესამე და მომდევნო ახალშობილის შექმნასთან დაკავშირებით 15 ოჯახის ფინანსური დახმარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		250
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება, კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და იმუნოჰისტოქიმიური კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 50 %-ით. ბიოფსია- თანადაფინანსება -50%, ენცეფალოგრამა- თანადაფინანსება 50%. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც დადასტურებული აქვთ ერთ-ერთი შემდეგი დიაგნოზი:</p> <ul style="list-style-type: none"> * ასაკობრივი მაკულარული დეგენერაცია, * დიაბეტური რეტინოპათია, * ზადურის ვეწის ოკლუზიით (თრომბოზით) გამოწვეული მაკულარული შეშუპება, * წიფისკულარული გლაუკომა. <p>დაფინანსდება მედიკამენტი (ავასტინი) და პროცედურა (ინექციის გაკეთება) ერთ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში 2ჯერ სრულად. მომსახურებით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.</p> <p>0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოპერაციული ჩარევის(სტაციონალური მომსახურება -გეგმიური ან გადაუდებელი, ასევე ჩატარებული) დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50%-ის თანადაფინანსებით, არაუმეტეს 1000 ლარისა. ბავშვები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.</p> <p>შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის, ბიოფსიის ასევე ენცეფალოგრამის უნადლო ანგარიშსწორებით (ინვოლუციური წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“ 2025 წელს პროგრამიდან გაიცა 724 ადმინისტრაციული დაპირება. საიდანაც 321 ქალი 353 კაცი; 50 ბავშვი 11 გოგო და 39 ბიჭი</p>		

კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1 მიზანი 3
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 730 ბენეფიციარი.

პროგრამის დასახელება	კოდი	სარეაბილიტაციო ცენტრ "იენანას" თანადაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		20
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სილატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციის ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჭერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 12 გოგომ 12 ბიჭმა.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში 20.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლამდე და სკოლიდან, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა (სასულიერო გიმნაზია. სულ 115 მოსწავლე). 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 115 ბენეფიციარმა გოგო 59 ბიჭი 56.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1 მიზანი 4		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას. პროგრამით შესაძლებელი იქნება 115 მოსწავლის ტრანსპორტირებაში ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში 190
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის დღეში ერთჯერადად საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 103 ბენეფიციარმა საიდანაჯ ქალი 53 კაცი 50 .		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1 მიზანი 2		
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამა ხელს შეუწყობს 115 ბენეფიციარის საკვებზე ხელმისაწვდომობას.		

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 07	მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში 106
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დევნილთა ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემა საშუალო მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 82 ოჯახი (268 დევნილი) 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 43 ოჯახმა საიდანაჯ კაცი 15 ქალი 28. - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მართლაც მშობლის სტატუსის მქონე		

<p>სოციალურად დაუცველ პირებს რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურად დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) ხანდაზმულები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშუალო მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; პროგრამის ფარგლებში იმ ბენეფიციარებს რომლებიც ვერ სარგებლობენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვერც ერთი პროგრამით და მუნიციპალიტეტისთვის მომართვისას განიცდიან მძიმე ეკონომიურ სიდუხჭირეს რაც დასტურდება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობით და თანდართული დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომლის ოდენობაც ოჯახის მძიმე ეკონომიური სიდუხჭირის გათვალისწინებით შეიძლება აღემატებოდეს 150 ლარს. სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის. 2025 წელს დახმარება გაიცა 396 ბენეფიციარზე საიდანაც კაცი 228. ქალი 168 . მათ შორის საშუალო მერქნის შესაძენად 47 ბენეფიციარზე საიდანაც ქალი 42 კაცი 5.</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1500(ათასხუთასი) ლარის ოდენობით. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს) . 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა. ქალი 1.</p> <p>მუნიციპალიტეტში უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება 500 ლარის ოდენობით გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.</p> <p>შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლილის ოჯახის სრულწლოვანი წევრები არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარიტუალო მომსახურებაზე ფინანსური დახმარების გაცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე. 2025 წელს დახმარება გაიცა 7 უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე ქალი 2 კაცი 5 -ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 7 ბავშვმა საიდანაც ბიჭი 4, გოგო 3.</p>	
<p>კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან</p>	<p>მიზანი 1</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დევნილი ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. მარტოხელა ხანდაზმულების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურად დაუცველი მშობლის რომელიც მარტო ზრდის არასრულწლოვან შვილს/შვილებს ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. მძიმე ეკონომიურ სიდუხჭირეში მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარება. 100 და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულების ფინანსური დახმარება. დედამამით ობოლი და შშმ ობოლი ბავშვების ფინანსური დახმარება და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის ფინანსური დახმარება. ფინანსური დახმარება გათვლილია ჯამში 596 ოჯახზე.</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 06 02 08</p>	<p>ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში 55</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური</p>		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამით გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 9 ბენეფიციარი) და 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) 500 ლარით დახმარება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (70 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება. დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 300 ლარით (13 ვეტერანის დედა). ომში დაღუპული მეომრების საპატივცემლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შექმნა (1 000 ლარი). აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 1000 ლარი. 2025 წლის პროგრამით განხორციელდა 82 ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება. ქალი 29 კაცი 53.</p>
<p>კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან</p>	<p>მიზანი 1</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 85 ბენეფიციარზე.</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 06 02 09</p>	<p>მიმდებარე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში 130</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 66 ოჯახმა საიდანაც ქალი 73კაცი 51 ბიჭი 40 გოგო 35</p>		
<p>კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან</p>	<p>მიზანი 1 მიზანი 11</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 60 ოჯახის დახმარება.</p>		

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 06 02 10</p>	<p>ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში 80.0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრები ფსიქოლოგთან ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ტრენინგი - 800 ლარი. ფიზიკური რეაბილიტაციის ტრენინგი-500 ლარი. სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის- 22000ლარი ;მოწვეული სპეციალისტების მომსახურება(კონსულტაცია)- 800 ლარი; პაციენტების ტრანსპორტირება სამედიცინო კვლევებზე 2000 ლარი ;საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება-1800 ლარი; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება -4800 ლარი ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება)-1400 ლარი; მოწვეული</p>		

<p>სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა-600 ლარი; პროგრამის საოპერაციო ხარჯი-1000 ლარი . 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 19 კლუბის წევრმა ქალბატონმა.</p> <p>მეორე მიმართულებაა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რისკების მართვა და ადრეული გამოვლენა, რომელსაც "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" თანამშრომლობის მემორანდუმით ან/და ხელშეკრულებით ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრი განახორციელებს. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ქალთა პოპულაციაში მნიშვნელოვნად იმატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი ავადობამ. ამასთან დადასტურებული ფაქტია, რომ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის საშუალებას მხოლოდ რეგულარული სკრინინგი იძლევა. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში, არ ახდენს გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხზე, ხასიათდება გადარჩენადობის მეტად მაღალი პროცენტით. ქალთა პოპულაციაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის და ადრეული გამოვლენის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ 25 -დან 70 წლის ჩათვლით მაღალი რისკის მქონე ქალებს; ასაკობრივი ჯგუფის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალბატონებს, მათ შორის დევნილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს რომელთა მიწერის ადგილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.სკრინინგის პროგრამა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს:1. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევა;2 ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევის შედეგად კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია;3 ექსკოპიურად ავთვისებიანობაზე საექსკო კვანძის არსებობის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრას სისხლში;4 ჩვენების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღება ბიოფსიური მასალის შემდგომი ციტოლოგიურ კვლევით; კვანძოვანი პათოლოგიის არ არსებობის შემთხვევაში განმეორებითი სკრინინგი ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კვანძოვანი პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში სკრინინგ პროგრამით განმეორებითი კვლევების სიხშირეს განსაზღვრავს ენდოკრინოლოგი - 3, 6 ან 12 თვეში ერთხელ.ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ან კიბოსწინა დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში მოქალაქე გადამისამართდება სპეციალიზირებულ პროფილურ დაწესებულებაში.</p> <p>პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი; ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში; გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება; დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები; ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები; ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები; ზ) სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო; თ) კისრის ლიმფადენოპათია; ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება; კ) უნაყოფობა. <p>ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის მართვა - ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა - 25,0 ლ. ფარისებრი ჯირკვალში კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია - 25,0 ლ. ექსკოპიურად ავთვისებიანობაზე საექსკო კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრა სისხლში - 25,0 ლ. ფარისებრი ჯირკვლიდან ბიოფსიური მასალის აღება და მასალის ციტოლოგიური კვლევა - 35,0 ლ. პროგრამით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 700 ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსება. 2025 წელს ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი ჩაიტარა 698 ქალმა ასევე პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა გამარჯვებულ ქალთა კლუბის 19 ქალბატონმა.</p>	
<p>კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან</p>	<p>მიზანი 3</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა, მათი ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 19 კლუბის წევრის დახმარება. ხოლო 700 ბენეფიციარზე შესაძლებელი იქნება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის დაფინანსება.</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p>57</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური</p>		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში- არაუმეტეს 7 000 ლარისა. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად, სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დგინდება დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აუცილებლობა, რაც მოწმდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი საბუთების მეშვეობით. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. გასულ წელს პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა. საიდანაც 14 ქალი 13 კაცი.</p> <p>-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული ქალთა მიმართ ან და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. 2025 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. (ქალი 4)</p> <p>-ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 21 წლის ჩათვლით ახალგაზრდების ფინანსურ დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა საიდანაც კაცი 3 ქალი 2.</p>
<p>კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან</p>	<p>მიზანი 1, მიზანი 5, მიზანი 16</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში ხელშეწყობა. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება. პროგრამა გათვლილია დაახლოებით 45 ბენეფიციარზე.</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>06 02 23</p>		<p>180</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამით სარგებლობენ ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების ოდენობამ უნდა შეადგინოს 13 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში გ) ქვეპროგრამის</p>		

	<p>მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ)6 თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება. „მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 500(ხუთასი) ლარისა .ანგარიშგება1. სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია განმარტავდეს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია.2.ანგარიშგებისას მომწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი(ანგარიშგაქტურა) 3. შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 44 ბენეფიციარმა საიდანაც ბიჭი 34 გოგო 10.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების მკურნალობის ჩატარებაში ხელშეწყობა, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 45 ბენეფიციარის დახმარება.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 24		176
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუხლი 1 პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა პერსონალური ასისტენტის საშუალებით.</p> <p>მუხლი 2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი 1. პროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირები, რომელთაც ესაჭიროებათ პერსონალური ასისტენტის მომსახურება. 2. მომსახურების მიღების მსურველი პირი პროგრამაში ერთვება სამინისტროს მიერ სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ მომზადებული პერსონალური ასისტენტის საჭიროების შესაფასების კითხვარის საფუძველზე. 3.პროგრამაში ვერ ჩაერთვება: ა) პირი რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში დიდ ინსტიტუციაში, 24 საათიან სათემო და/ან მცირე საოჯახო მომსახურებაში; ბ) არის ამ ქვეპროგრამის ღონისძიებების მსგავსი შონმოვლის ან პერსონალური ასისტენტის სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამის/მომსახურების მოსარგებლე.</p> <p>მუხლი 3. პროგრამაში ჩართვის პროცედურა 1. მომსახურების მიღების მსურველი შშმ პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას. შემდეგი დოკუმენტაციით: ა) განაცხადის ფორმა; ბ) ასისტენტის საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; დ) სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერისასლი(ფორმაNIV-50/4)ან შშმ პირთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემიდან ამონაწერი. 2. მუნიციპალიტეტში საბუთების წარდგენის შემდგომ პროგრამაში ჩასართავად(პერსონალური ასისტენტის მომსახურების მისაღებად), მუნიციპალიტეტი სამედიცინო დაწესებულებას უზავნის განაცხადს ბენეფიციარის შესაფასებლად; ბენეფიციარი ფასდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022წლის 18 თებერვლის N01-13/ნ ბრძანებით დამტკიცებული შეფასების პროცედურისა და შეფასების კითხვარის საფუძველზე, განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტენტის საჭიროებას(რეგულარული/სპეციალიზირებული) 3. შეფასების შემდგომ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გაცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას/დასკვნას. შეფასების დასკვნა ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის მიზნით. 4. მუნიციპალიტეტი განიხილავს პროგრამაში ჩართვის შესახებ მიღებულ განცხადებას და</p>		

მიღებული დოკუმენტების საფუძველზე იღებს პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილებას არაუგვიანეს განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რასაც უგზავნის მომსახურების მიმღებ პირს საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების სიას და საკონტაქტო ინფორმაციას.

5. მუნიციპალიტეტი ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი;

ბ) ფუნქციური შეფასების დაბალი ქულა;

დ) მიმართვის თარიღი;

დ) სოციალურად დაუცველი.

მუხლი 4. პროგრამის ღონისძიებების შესრულების ინდიკატორები

პრიორიტეტული ჯგუფები: 1) მარტო მცხოვრები შშმ პირი;

2.) დასაქმებული შშმ პირი.

3) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრი შშმ პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს

4) პროფესიული კოლეჯის 18+ სტუდენტი და ა.შ.

1. მომსახურების მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით შეფასებისას გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, პერსონალური ასისტირება იყოფა ორ კატეგორიად: რეგულარული და სპეციალიზებული. რეგულარული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, მომსახურება ითვალისწინებს თვეში არაუმეტეს 60 საათს, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, თვეში არაუმეტეს 120 საათს. ასისტირების სახეობა განისაზღვრება მომსახურებაში ჩართვის დროს შეფასების პროცესში.

2. პროგრამის ღონისძიებების ფარგლებში უზრუნველყოფილია:

ა) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსარგებლის მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილების და შესაბამისი არამატერიალიზებული ვაუჩერის გაცემიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში მომსახურების მიმწოდებლის ვიზიტი საცხოვრებელ ადგილზე და მოსარგებლის მონაწილეობით (საჭიროების შემთხვევაში მხარდამჭერის/მისი კანონიერი წარმომადგენლის დახმარებით) ასისტირების საჭიროებების დეტალური შეფასება. მოსარგებლეს შეუძლია მომსახურების მიმწოდებლის შერჩევა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (თუ არის არჩევანის საშუალება);

ბ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოსარგებლის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების მართვის სტანდარტების“ შესაბამისად, შემდეგი მომსახურებების მიწოდება: კვებაში დახმარება, თავის მოვლა, ჩაცმაში დახმარება, საოჯახო საქმე საყიდლებზე სიარული, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მხარდაჭერა, მუშაობისა და დასვენების დღის დაგეგმვა ან/და სხვა აქტივობებში ასისტირება, რაც არ არღვევს ასისტენტის შრომით და სხვა უფლებებს. ამასთან, მომსახურების მიმღები პირი უზრუნველყოფილია მისთვის განკუთვნილი მომსახურების კომპონენტის შერჩევის შესაძლებლობით, რაც გულისხმობს როდის, სად, როგორ და რომელი აქტივობებისა და ამოცანების შესრულებაში გაუწევს დახმარებას პერსონალური ასისტენტი;

გ) შეფასების საფუძველზე მომსახურების მიმწოდებლისა და მომსახურების მიმღები პირის მიერ პერსონალური ასისტენტის შერჩევას (პერსონალურ ასისტენტ(ებ)ად არ შეიძლება შეირჩეს მომსახურების მიმღები პირის შვილები, მშობლები, მეუღლე, და-ძმები ან/და მომსახურების მიმღებ პირთან ერთად მუდმივად მცხოვრები პირები, ასევე სასამართლოს მიერ დანიშნული მხარდამჭერი). საბოლოო გადაწყვეტილებას პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიღების თაობაზე იღებს თავად მომსახურების მიმღები პირი (საჭიროების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის დახმარებით). ერთი ასისტენტი შეიძლება ემსახუროდეს რამდენიმე მომსახურების მიმღებ პირს, თუკი ეს ხელს არ უშლის რომელიმე მომსახურების მიმღები პირისთვის მომსახურების სრულად და ხარისხიანად განხორციელებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმღებ პირთან შეთანხმებით მასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა სფეროს სპეციალისტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანამშრომლობას და არსებული ინდივიდუალური მომსახურების გეგმების მიზნების შესაბამისად მომსახურების მიმღები პირის დანიშნული პროცედურების/დავალებების შესრულებაში, უნარების განვითარებაში დახმარებას.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 176000 ლარით
2. მომსახურებისთვის გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა რეგულარული ასისტირების შემთხვევაში შეადგენს თვეში არაუმეტეს 720 ლარს, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების შემთხვევაში – თვეში არაუმეტეს 1 560 ლარს.
3. მომსახურების ასანაზღაურებლად გამოიყენება არამატერიალიზებული ვაუჩერი.
4. არამატერიალიზებული ვაუჩერი ფინანსდება არაუგვიანეს მომსახურების გაწევის შემდგომი თვის ამოწურვამდე. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევის თვის მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით (იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა), მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მომსახურების მიმღების (შესაბამის შემთხვევაში მხარდამჭერის/კანონიერი წარმომადგენლის) მიერ წინა თვეში გაწეული მითითებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს მომსახურების მიმღების (შესაბამის შემთხვევაში მხარდამჭერის/კანონიერი წარმომადგენლის) ხელმოწერით. ამასთან, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ სამუშაო დღეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას გამოაკლდება ასანაზღაურებელი თანხის 10%. 5 სამუშაო დღეზე მეტი დღის დაგვიანების შემთხვევაში წარდგენილი არამატერიალიზებული ვაუჩერის ტალონი დაფინანსებას არ ექვემდებარება.
5. თუ მოსარგებლის (მოსარგებლებების) მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილ ვიზიტთა რაოდენობა ნახევარი ან მეტია, არამატერიალიზებული ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა გამოიანგარიშება მოსარგებლის განხორციელებული ჩატარებული საათების რაოდენობის ნამრავლით რეგულარული ასისტირების შემთხვევაში 12 ლარზე, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების შემთხვევაში 13 ლარზე.
6. არამატერიალიზებული ვაუჩერი განკუთვნილია მიწოდებული მომსახურების დაფინანსებისათვის, არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში. მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ მომსახურების მიმღები პირის საჭიროებათა შეფასების და ინდივიდუალური მომსახურების გეგმის გადახედვის საფუძველზე არამატერიალიზებული ვაუჩერის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ავტომატურად, მათ შორის, წინა წელს ამავე ქვეპროგრამით მოსარგებლებზე (მათ შორის, მუდმივი შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირის შემთხვევაში).
7. ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების დაფინანსების აუცილებელი დამატებითი პირობა შეიძლება იყოს მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მუნიციპალიტეტში წარდგენა, მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი ფორმით.
8. არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების საფუძველი:
 - ა) მომსახურების მიმღების მიერ მისი ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა;
 - ბ) საპილოტე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეწყვეტა ან ერთდროულად 2 თვეზე მეტი ხნით შეჩერება, რის შესახებ ინფორმაციას მიმწოდებელი ერთი თვით ადრე წერილობით აცნობებს მომსახურების მიმღებს/მხარდამჭერს/კანონიერ წარმომადგენელს, მუნიციპალიტეტს და სამინისტროს;
 - გ) მომსახურების მიმღების საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მომსახურების საპილოტე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის არეალს.
9. არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერია. არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ავტომატურად იწვევს სამმხრივი ხელშეკრულების გაუქმებას.
10. მომსახურების მიმღების პროგრამაში ხელახლა ჩართვა მოხდება ყველა დადგენილი პროცედურის ხელახლა გავლით.
11. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ პროგრამისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N01-13/ნ ბრძანების შესაბამისად.
12. პერსონალური ასისტირების საჭიროების შეფასების კითხვარის ერთ დადებით შეფასებაზე დაფინანსებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 25 ლარს. თანხის

	<p>ანაზღაურება ხორციელდება შეფასებაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე.</p> <p>მუხლი 6. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მომწოდებელია სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ორგანიზაცია.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა პერსონალური ასისტენტის საშუალებით. პროგრამით შესაძლებელი იქნება 17 შშმ პირის დახმარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 25		60
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პირობები არსებობს ძალადობის მაღალი რისკი; (უგულებელყოფილია ბავშვის უფლებები, ბავშვი ვერ იღებს განათლებას; არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ბავშვი განიცდის ფიზიკურ ან/და ფსიქოლოგიურ ძალადობას) ოჯახს გაეწევა დახმარება საჭიროების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბავშვის სოციალური მუშაკის და ტრეფიკინგის მხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასების/დასკვნის გათვალისწინებით. ბენეფიციარს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაეწევა როგორც ფინანსური (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწოდება ასევე ბავშვების ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების, იმ სპეციალისტების კონსულტაციის დაფინანსება, რომელსაც საყოველთაო ჯანდაცვა არ აფინანსებს და არც მუნიციპალური პროგრამებით არ არის გათვალისწინებული რაზეც ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტის მიერ გაიცემა რეკომენდაცია) ასევე არაფინანსური (სწავლება/გადამზადება, ფსიქოლოგის დახმარება, ადვოკატირება) დახმარება ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით არაუმეტეს 7000 (შვიდათასი) ლარისა. პროგრამა გათვლილია 10 ოჯახზე.</p> <p>ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით მერიის ბავშვის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე განხორციელდება მშობლების შერჩევა მათი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, განხორციელდება ე.წ. „პოზიტიური მშობლის“ პროგრამა. ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბავშვის ასაკობრივი კრიზისების დაძლევაზე და ა.შ. განხორციელდება მშობლებისთვის ცნობიერების ამაღლება. მუნიციპალიტეტი „პოზიტიური მშობლის“ სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების შესყიდვის გზით. პროგრამა გათვლილია 10 ბენეფიციარზე. პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება გაეწევა ფინანსური დახმარება. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. მათი საჭიროებების გათვალისწინებით.</p> <p>სოციალური მუშაკის მიერ პერიოდულად განხორციელდება მონიტორინგი 6 თვის განმავლობაში. 2025 წელს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 7 ოჯახზე. 7 ოჯახში ბავშვების რაოდენობა 16 საიდანაც გოგო 10 ბიჭი 6.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	მიზანი 1		
მოსალოდნელი შედეგი	0- დან 18 წლამდე რისკის ქვეშ მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. მშობლების და ბავშვების ცნობიერების ამაღლება, ბავშვების სოციალიზაცია. ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერება, რაც შეამცირებს ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანის რისკს. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე		

მუხლი 18. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან, როგორცაა საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება. პრიორიტეტი კავშირშია მდგრადი განვითარების მე-16 მიზანთან. პრიორიტეტი ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის, მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურების და დაფარვის ხარჯებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრის დაფინანსებასა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. ორგ კოდი 01 01 02 ქვეპროგრამაში 11,5 ათ ლარი გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,726.7	6,930.0	7,200.0	7,410.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,317.6	6,550.0	6,800.0	7,000.0
01 01 01	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,669.0	1,800.0	1,900.0	2,000.0
01 01 02	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	4,648.6	4,750.0	4,900.0	5,000.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	409.1	380.0	400.0	410.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	70.0	70.0	70.0	70.0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	5.0	10.0	10.0	10.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	34.1			
01 02 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	300.0	300.0	320.0	330.0

მუხლი 19. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

თავი III. ლანჩხუთის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 20. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	43,851.6	59,216.6	26,333.2	32,883.4	27,659.4	27,659.4	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	748.0	747.0	747.0	-	735.0	735.0	-
	ხარჯები	20,351.8	32,833.3	20,970.6	11,862.7	23,665.1	23,665.1	-
	შრომის ანაზღაურება	7,689.6	9,357.7	9,293.9	63.8	10,612.8	10,612.8	-
	საქონელი და მომსახურება	9,570.2	10,242.7	8,745.8	1,496.9	9,490.9	9,490.9	-
	პროცენტები	11.4	10.0	10.0	-	5.0	5.0	-
	სუბსიდიები	992.7	1,355.9	1,355.0	0.9	1,491.0	1,491.0	-

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	გრანტები	9.9	10.7	10.7	-	17.0	17.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,047.1	1,245.5	1,245.5	-	1,494.3	1,494.3	-
	სხვა ხარჯები	1,031.1	10,610.8	309.6	10,301.2	554.1	554.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23,441.8	26,325.2	5,304.5	21,020.7	3,965.2	3,965.2	-
	ვალდებულებები	58.0	58.1	58.1	-	29.1	29.1	-
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7,150.5	6,980.8	6,585.4	395.5	6,726.7	6,726.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	163.0	163.0	163.0	-	162.0	162.0	-
	ხარჯები	4,880.1	5,585.4	5,531.2	54.2	6,232.6	6,232.6	-
	შრომის ანაზღაურება	3,472.9	3,978.6	3,930.1	48.5	4,428.7	4,428.7	-
	საქონელი და მომსახურება	1,083.6	1,237.5	1,232.7	4.8	1,268.9	1,268.9	-
	პროცენტები	11.4	10.0	10.0	-	5.0	5.0	-
	სუბსიდიები	207.3	230.7	229.8	0.9	300.0	300.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	21.8	25.0	25.0	-	40.0	40.0	-
	სხვა ხარჯები	83.1	103.6	103.6	-	190.0	190.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,212.4	1,337.3	996.0	341.3	465.0	465.0	-
	ვალდებულებები	58.0	58.1	58.1	-	29.1	29.1	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,119.2	5,828.2	5,568.7	259.4	6,317.6	6,317.6	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	163.0	163.0	163.0	-	162.0	162.0	-
	ხარჯები	4,661.4	5,265.9	5,212.5	53.3	5,852.6	5,852.6	-
	შრომის ანაზღაურება	3,472.9	3,978.6	3,930.1	48.5	4,428.7	4,428.7	-
	საქონელი და მომსახურება	1,083.6	1,163.6	1,158.8	4.8	1,198.9	1,198.9	-
	სოციალური უზრუნველყოფა	21.8	25.0	25.0	-	40.0	40.0	-
	სხვა ხარჯები	83.1	98.6	98.6	-	185.0	185.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,457.8	562.3	356.2	206.1	465.0	465.0	-
01 01 01	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,299.9	1,484.7	1,483.3	1.4	1,669.0	1,669.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	36.0	36.0	36.0	-	35.0	35.0	-
	ხარჯები	1,293.6	1,469.7	1,468.3	1.4	1,654.0	1,654.0	-
	შრომის ანაზღაურება	985.3	1,100.8	1,100.1	0.7	1,200.0	1,200.0	-
	საქონელი და მომსახურება	234.8	280.3	279.6	0.7	279.0	279.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	2.1	10.0	10.0	-	10.0	10.0	-
	სხვა ხარჯები	71.4	78.6	78.6	-	165.0	165.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.3	15.0	15.0	-	15.0	15.0	-
01 01 02	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	4,819.3	4,343.4	4,085.4	258.0	4,648.6	4,648.6	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	127.0	127.0	127.0	-	127.0	127.0	-
	ხარჯები	3,367.8	3,796.1	3,744.2	51.9	4,198.6	4,198.6	-
	შრომის ანაზღაურება	2,487.7	2,877.8	2,830.0	47.8	3,228.7	3,228.7	-
	საქონელი და მომსახურება	848.8	883.3	879.2	4.1	919.9	919.9	-
	სოციალური უზრუნველყოფა	19.7	15.0	15.0	-	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები	11.7	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,451.5	547.3	341.2	206.1	450.0	450.0	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1,031.3	1,152.7	1,016.6	136.0	409.1	409.1	-
	ხარჯები	218.7	319.6	318.7	0.9	380.0	380.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	73.9	73.9	-	70.0	70.0	-
	პროცენტები	11.4	10.0	10.0	-	5.0	5.0	-
	სუბსიდიები	207.3	230.7	229.8	0.9	300.0	300.0	-
	სხვა ხარჯები	-	5.0	5.0	-	5.0	5.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	754.6	775.0	639.8	135.2	-	-	-
	ვალდებულებები	58.0	58.1	58.1	-	29.1	29.1	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	70.0	70.0	-	70.0	70.0	-

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	ხარჯები	-	70.0	70.0	-	70.0	70.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	70.0	70.0	-	70.0	70.0	-
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	-	5.0	5.0	-	5.0	5.0	-
	ხარჯები	-	5.0	5.0	-	5.0	5.0	-
	სხვა ხარჯები	-	5.0	5.0	-	5.0	5.0	-
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	69.4	68.1	68.1	-	34.1	34.1	-
	ხარჯები	11.4	10.0	10.0	-	5.0	5.0	-
	პროცენტები	11.4	10.0	10.0	-	5.0	5.0	-
	ვალდებულებები	58.0	58.1	58.1	-	29.1	29.1	-
01 02 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	961.9	1,009.6	873.5	136.0	300.0	300.0	-
	ხარჯები	207.3	234.6	233.7	0.9	300.0	300.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	3.9	3.9	-	-	-	-
	სუბსიდიები	207.3	230.7	229.8	0.9	300.0	300.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	754.6	775.0	639.8	135.2	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	20,944.6	30,770.5	4,738.0	26,032.6	4,717.4	4,717.4	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	4.0	5.0	5.0	-	4.0	4.0	-
	ხარჯები	2,468.2	9,707.5	1,811.0	7,896.5	2,084.0	2,084.0	-
	შრომის ანაზღაურება	59.9	57.6	55.2	2.4	61.9	61.9	-
	საქონელი და მომსახურება	1,614.4	1,626.5	1,317.3	309.1	1,322.1	1,322.1	-
	სუბსიდიები	-	388.4	388.4	-	550.0	550.0	-
	სხვა ხარჯები	793.9	7,635.0	50.0	7,585.0	150.0	150.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18,476.4	21,063.1	2,927.0	18,136.1	2,633.4	2,633.4	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,540.9	16,040.3	708.1	15,332.3	833.4	833.4	-
	ხარჯები	508.8	463.9	158.0	305.9	215.0	215.0	-
	საქონელი და მომსახურება	508.8	463.9	158.0	305.9	215.0	215.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,032.1	15,576.4	550.1	15,026.3	618.4	618.4	-
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	14,797.3	15,343.3	316.9	15,026.3	518.4	518.4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14,797.3	15,343.3	316.9	15,026.3	518.4	518.4	-
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	458.8	405.9	100.0	305.9	150.0	150.0	-
	ხარჯები	458.8	405.9	100.0	305.9	150.0	150.0	-
	საქონელი და მომსახურება	458.8	405.9	100.0	305.9	150.0	150.0	-
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	284.8	291.1	291.1	-	165.0	165.0	-
	ხარჯები	50.0	58.0	58.0	-	65.0	65.0	-
	საქონელი და მომსახურება	50.0	58.0	58.0	-	65.0	65.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	234.8	233.1	233.1	-	100.0	100.0	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	229.4	563.7	317.2	246.6	572.0	572.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	2.0	2.0	2.0	-	2.0	2.0	-
	ხარჯები	148.0	173.7	173.1	0.6	187.0	187.0	-
	შრომის ანაზღაურება	22.8	25.8	25.2	0.6	29.8	29.8	-
	საქონელი და მომსახურება	125.1	148.0	148.0	-	157.2	157.2	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	81.4	390.0	144.1	246.0	385.0	385.0	-
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	57.4	350.0	104.1	246.0	350.0	350.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	57.4	350.0	104.1	246.0	350.0	350.0	-
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	171.9	213.7	213.1	0.6	222.0	222.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	2.0	2.0	2.0	-	2.0	2.0	-
	ხარჯები	148.0	173.7	173.1	0.6	187.0	187.0	-
	შრომის ანაზღაურება	22.8	25.8	25.2	0.6	29.8	29.8	-
	საქონელი და მომსახურება	125.1	148.0	148.0	-	157.2	157.2	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24.0	40.0	40.0	-	35.0	35.0	-

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
02 03	გარე განათება	741.2	855.4	851.6	3.8	850.0	850.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	2.0	2.0	2.0	-	2.0	2.0	-
	ხარჯები	737.4	855.4	851.6	3.8	850.0	850.0	-
	შრომის ანაზღაურება	24.7	27.5	26.4	1.1	32.1	32.1	-
	საქონელი და მომსახურება	712.7	827.9	825.2	2.7	817.9	817.9	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.8	-	-	-	-	-	-
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	737.4	855.4	851.6	3.8	850.0	850.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	2.0	2.0	2.0	-	2.0	2.0	-
	ხარჯები	737.4	855.4	851.6	3.8	850.0	850.0	-
	შრომის ანაზღაურება	24.7	27.5	26.4	1.1	32.1	32.1	-
	საქონელი და მომსახურება	712.7	827.9	825.2	2.7	817.9	817.9	-
02 03 02	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	3.8	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.8	-	-	-	-	-	-
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	847.7	8,377.9	730.0	7,647.9	-	-	-
	ხარჯები	719.5	7,585.0	-	7,585.0	-	-	-
	სხვა ხარჯები	719.5	7,585.0	-	7,585.0	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	128.2	792.9	730.0	62.9	-	-	-
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბაღანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	128.2	792.9	730.0	62.9	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	128.2	792.9	730.0	62.9	-	-	-
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	719.5	7,585.0	-	7,585.0	-	-	-
	ხარჯები	719.5	7,585.0	-	7,585.0	-	-	-
	სხვა ხარჯები	719.5	7,585.0	-	7,585.0	-	-	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	240.8	580.4	580.4	-	1,312.0	1,312.0	-
	ხარჯები	67.1	480.4	480.4	-	682.0	682.0	-
	საქონელი და მომსახურება	67.1	92.0	92.0	-	132.0	132.0	-
	სუბსიდიები	-	388.4	388.4	-	550.0	550.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	173.7	100.0	100.0	-	630.0	630.0	-
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	177.8	100.0	100.0	-	450.0	450.0	-
	ხარჯები	4.1	-	-	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	4.1	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	173.7	100.0	100.0	-	450.0	450.0	-
02 06 02	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა	-	388.4	388.4	-	550.0	550.0	-
	ხარჯები	-	388.4	388.4	-	550.0	550.0	-
	სუბსიდიები	-	388.4	388.4	-	550.0	550.0	-
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	62.0	80.0	80.0	-	300.0	300.0	-
	ხარჯები	62.0	80.0	80.0	-	120.0	120.0	-
	საქონელი და მომსახურება	62.0	80.0	80.0	-	120.0	120.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	180.0	180.0	-
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	1.0	12.0	12.0	-	12.0	12.0	-
	ხარჯები	1.0	12.0	12.0	-	12.0	12.0	-
	საქონელი და მომსახურება	1.0	12.0	12.0	-	12.0	12.0	-
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	232.0	98.9	97.8	1.1	-	-	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	1.0	1.0	-	-	-	-
	ხარჯები	213.0	98.9	97.8	1.1	-	-	-
	შრომის ანაზღაურება	12.4	4.3	3.6	0.6	-	-	-

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	საქონელი და მომსახურება	200.7	94.7	94.2	0.5	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	19.0	-			-		
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	589.1	1,017.8	1,017.8	-	750.0	750.0	-
	ხარჯები	3.8	50.0	50.0	-	50.0	50.0	-
	სხვა ხარჯები	3.8	50.0	50.0		50.0	50.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	585.2	967.8	967.8		700.0	700.0	
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,668.6	1,951.6	-	1,951.6	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,668.6	1,951.6		1,951.6	-		
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	784.4	1,284.4	435.1	849.3	300.0	300.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	784.4	1,284.4	435.1	849.3	300.0	300.0	
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	70.6	-	-	-	100.0	100.0	-
	ხარჯები	70.6	-	-	-	100.0	100.0	-
	სხვა ხარჯები	70.6	-	-		100.0	100.0	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,453.4	2,683.2	2,665.0	18.2	3,275.0	3,275.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	25.0	27.0	27.0	-	26.0	26.0	-
	ხარჯები	2,347.4	2,643.2	2,625.0	18.2	3,125.0	3,125.0	-
	შრომის ანაზღაურება	303.4	331.0	326.3	4.7	381.7	381.7	-
	საქონელი და მომსახურება	2,044.0	2,312.2	2,298.7	13.5	2,743.3	2,743.3	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	106.0	40.0	40.0	-	150.0	150.0	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,160.7	2,357.9	2,343.0	14.9	2,880.0	2,880.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	21.0	23.0	23.0		22.0	22.0	
	ხარჯები	2,054.8	2,317.9	2,303.0	14.9	2,730.0	2,730.0	-
	შრომის ანაზღაურება	264.5	287.5	283.4	4.1	328.3	328.3	
	საქონელი და მომსახურება	1,790.3	2,030.4	2,019.6	10.8	2,401.7	2,401.7	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	106.0	40.0	40.0		150.0	150.0	
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	272.7	305.3	302.0	3.3	375.0	375.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	4.0	4.0	4.0		4.0	4.0	
	ხარჯები	272.7	305.3	302.0	3.3	375.0	375.0	-
	შრომის ანაზღაურება	39.0	43.5	42.9	0.6	53.4	53.4	
	საქონელი და მომსახურება	233.7	261.8	259.1	2.7	321.6	321.6	-
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	20.0	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	ხარჯები	20.0	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	საქონელი და მომსახურება	20.0	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
04 00	განათლება	5,766.6	6,678.3	5,520.5	1,157.8	5,560.0	5,560.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	379.0	379.0	379.0	-	379.0	379.0	-
	ხარჯები	5,564.4	6,185.5	5,027.7	1,157.8	5,528.7	5,528.7	-
	შრომის ანაზღაურება	2,646.1	3,445.0	3,445.0	-	3,998.1	3,998.1	-
	საქონელი და მომსახურება	2,864.6	2,657.9	1,500.1	1,157.8	1,448.1	1,448.1	-
	სუბსიდიები	4.5	4.0	4.0	-	4.0	4.0	-
	გრანტები	9.9	9.0	9.0	-	9.0	9.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	11.4	30.0	30.0	-	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები	27.9	39.5	39.5	-	39.5	39.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	202.2	492.8	492.8		31.3	31.3	
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4,162.9	5,000.0	5,000.0	-	5,500.0	5,500.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	379.0	379.0	379.0		379.0	379.0	
	ხარჯები	3,960.7	4,968.7	4,968.7	-	5,468.7	5,468.7	-
	შრომის ანაზღაურება	2,646.1	3,445.0	3,445.0		3,998.1	3,998.1	

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	საქონელი და მომსახურება	1,303.2	1,493.6	1,493.6	-	1,440.6	1,440.6	-
	სოციალური უზრუნველყოფა	11.4	30.0	30.0	-	30.0	30.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	202.2	31.3	31.3	-	31.3	31.3	-
04 03	განათლების ხელშეწყობა	45.2	59.0	59.0	-	60.0	60.0	-
	ხარჯები	45.2	59.0	59.0	-	60.0	60.0	-
	საქონელი და მომსახურება	2.9	6.5	6.5	-	7.5	7.5	-
	სუბსიდიები	4.5	4.0	4.0	-	4.0	4.0	-
	გრანტები	9.9	9.0	9.0	-	9.0	9.0	-
	სხვა ხარჯები	27.9	39.5	39.5	-	39.5	39.5	-
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	461.5	461.5	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	461.5	461.5	-	-	-	-
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1,558.5	1,157.8	-	1,157.8	-	-	-
	ხარჯები	1,558.5	1,157.8	-	1,157.8	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	1,558.5	1,157.8	-	1,157.8	-	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6,104.4	7,792.0	5,230.0	2,562.0	5,525.3	5,525.3	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	156.0	155.0	155.0	-	151.0	151.0	-
	ხარჯები	3,746.9	4,407.6	4,389.0	18.6	4,844.8	4,844.8	-
	შრომის ანაზღაურება	1,059.0	1,351.4	1,343.2	8.2	1,490.9	1,490.9	-
	საქონელი და მომსახურება	1,901.1	2,314.2	2,303.8	10.5	2,654.3	2,654.3	-
	სუბსიდიები	670.1	623.8	623.8	-	517.0	517.0	-
	გრანტები	-	1.7	1.7	-	8.0	8.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	2.0	-	-	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	114.6	116.5	116.5	-	174.6	174.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,357.5	3,384.4	841.0	2,543.4	680.5	680.5	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,598.6	5,359.9	2,806.5	2,553.4	2,690.0	2,690.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	18.0	18.0	18.0	-	16.0	16.0	-
	ხარჯები	1,845.2	2,011.3	2,001.2	10.1	2,029.5	2,029.5	-
	შრომის ანაზღაურება	164.2	205.1	201.9	3.2	223.1	223.1	-
	საქონელი და მომსახურება	980.0	1,147.1	1,140.2	6.8	1,250.8	1,250.8	-
	სუბსიდიები	610.0	557.0	557.0	-	450.0	450.0	-
	სხვა ხარჯები	91.0	102.1	102.1	-	105.6	105.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,753.4	3,348.7	805.3	2,543.4	660.5	660.5	-
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,816.5	1,990.0	1,979.9	10.1	2,050.0	2,050.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	18.0	18.0	18.0	-	16.0	16.0	-
	ხარჯები	1,761.6	1,926.8	1,916.7	10.1	1,939.5	1,939.5	-
	შრომის ანაზღაურება	164.2	205.1	201.9	3.2	223.1	223.1	-
	საქონელი და მომსახურება	925.4	1,091.7	1,084.8	6.8	1,192.8	1,192.8	-
	სუბსიდიები	610.0	557.0	557.0	-	450.0	450.0	-
	სხვა ხარჯები	62.0	73.0	73.0	-	73.6	73.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54.9	63.2	63.2	-	110.5	110.5	-
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	718.8	852.5	848.9	3.6	950.0	950.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	11.0	11.0	11.0	-	9.0	9.0	-
	ხარჯები	668.8	804.5	800.9	3.6	875.0	875.0	-
	შრომის ანაზღაურება	87.4	108.4	106.9	1.5	117.6	117.6	-
	საქონელი და მომსახურება	519.5	626.1	624.0	2.1	686.8	686.8	-
	სხვა ხარჯები	62.0	70.0	70.0	-	70.6	70.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.0	48.0	48.0	-	75.0	75.0	-
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 20 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 750 მდე ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 379 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა</p>				
მოსალოდნელი შედეგი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები. ა(ა)იპ ში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p>				
	#	ინდიკატორი ს აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)

შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის დაცულობა	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის II და III ნაწილი. აქედან: II ნაწილი განსაზღვრავს 2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს; III ნაწილი განსაზღვრავს 3-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს და 5-6 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი.	საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბაგა-მალეზში. კერძოდ, სტანდარტის II და III ნაწილებით განსაზღვრულ კონტიგენტზე ბავშვების განვითარებასთან (აღზრდა-განათლების) ერთად მეტი ყურადღება ეთმობა თემატურ მიმართულებებზე მუშაობას, მათ შორის: ხელოვნებას, წიგნიერებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.	20% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შექმნას (ამაღლებას)
	2	კვების ორგანიზები სა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დაცულობა	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებისათვის განკუთვნილი კვებითი ღირებულების ნორმები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების მოთხოვნებს კვების რეჟიმით განსაზღვრულ ყველა პირობასთან მიმართებაში. კერძოდ, ყოველდღიურად 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვებასთან ერთად 3 წახემსება (პირველი წახემსება საუზმესა და სადილს შორის („დილის“), მეორე სადილსა და ვახშამს შორის („შუადღის“), მესამე – ვახშმის შემდეგ).	გაუმჯობესებულია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი დადგენილი ნორმების შესრულება. იმ დაწესებულებებში სადაც მუშაობის რეჟიმთან გამოდინარე აუცილებელია 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვება, ხშირ შემთხვევებში ბავშვების ასევე აქვთ ნორმებით განსაზღვრული წახემსება. მეტი ყურადღება ექცევა კვების ორგანიზების ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის: კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს	10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შექმნას (ამაღლებას);
	3	პროგრამის ხარისხის სტანდარტის დაცულობა	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ხარისხის სტანდარტი. კერძოდ, უსაფრთხოება და დაცულობა, კურიკულიუმი და მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემო, ურთიერთობა, საგანმანათლებლო პროცესი,	საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის პროგრამის ხარისხის სტანდარტი უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბაგა-მალეზში. კერძოდ, ფიზიკური გარემო შექმნილია ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. მკაფიოდაა გაწერილი პროცედურები თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ჯანმრთელობის	10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შექმნას (ამაღლებას) და ბაგა-ბაღები სტანდარტის შესაბამისი რესურსებით აღჭურვას.

			ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.	შესანარჩუნებლად. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მედიკამენტების საჭიროების თუ სხვა შემთხვევებში. ბაგა-ბაღებს გააჩნია ინფექციური დაავადებების გავრცელების მექანიზმები. უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმები. თითოეულ ბავშვს აქვს დასვენებისა და ძილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. დაწესებულებაში აღმზრდელ პედაგოგები ხელმძღვანელობენ თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმით. გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ყველასთვის.	
	4	ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან მიიღონ დაწყებითი საშუალო განათლება	2024 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს	2025 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს	სასკოლო მზაობის პროგრამით მომზადდება ყველა ის აღსაზრდელი, რომელიც სარგებლობს საბავშვო ბაღების მომსახურებით

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	04 03		60	255
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;</p> <p>ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ;</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი;</p>			

	სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრით.				
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში ჩართული ადამიანების რაოდენობა - 270 მდე	საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში ჩართული ადამიანების რაოდენობის ზრდა	გაზრდილია საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში ჩართული ადამიანების რაოდენობა - 350 მდე	1%
	2	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა - 10 პროექტი	დაფინანსებული პროექტების რაოდენობის ზრდა	გაზრდილია განათლების სფეროში დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი - 5 პროექტი	1%
3	განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმატებების წახალისების რაოდენობა - 34	განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმატებების წახალისების რაოდენობის ზრდა	გაზრდილია წახალისებული ადამიანების რაოდენობა და მათი მოტივაცია - წახალისებული 55 მდე ადამიანი	1%	

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,525.3	5,860.0	6,397.0	6,804.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,690.0	2,790.0	3,112.0	3,314.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,050.0	2,200.0	2,320.0	2,420.0
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	950.0	1000.0	1050.0	1100.0
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	250.0	260.0	270.0	280.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	200.0	220.0	230.0	240.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	650.0	720.0	770.0	800.0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	90.0	90.0	92.0	94.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	550.0	500.0	700.0	800.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,800.3	3,030.0	3,240.0	3,440.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2,675.3	2,900.0	3,100.0	3,300.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	1,917.0	2100.0	2250.0	2400.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	758.3	800.0	850.0	900.0
05 02 02	კულტურის ხელშეწყობა	85.0	90.0	100.0	100.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	35.0	40.0	45.0	50.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		950	4100
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება სპორტული ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, კარატე, ჭადრაკი, კალათბურთი და სპორტული ტანვარჯიში. სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 382 ბავშვი, აქედან გოგონა 85 და ვაჟი 297. რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 65 ადამიანი, მათ შორის, 25 ტექნიკური და 47 ადმინისტრაციული პერსონალი და მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.
-------------------------------	--

მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გარდმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;
--------------------	---

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	სპორტულ ცენტრში არსებული სპორტის სახეობების რაოდენობა	2025 წელს ფუნქციონირებს სპორტის 10 სახეობა	2026 წელს შენარჩუნებული იქნება 10 სპორტის სახეობა	0%
	2	ბავშვების რაოდენობა	380 სპორტსმენი	2026 წელს მინიმუმ შენარჩუნდება ბავშვების არსებული რაოდენობა	5% - დამოკიდებულია მომართვიანობაზე
	3	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	2025 წელს სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს 80-მდე სპორტულ ღონისძიებაში	2026 წელს სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ არანაკლებ 85 სპორტულ ღონისძიებაში	9%
	4	სპორტული შეკრებების რაოდენობა	2025 ჩატარდა 5 სპორტული შეკრება	2026 წელს ჩატარდება არანაკლებ 5 შეკრება	0%

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		250	1060
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას.			

	ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის.				
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს ყველა სპორტულ ღონისძიებას.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	ჩატარებული საფეხბურთო მატჩების რაოდენობა	2025 წელში სტადიონმა უმასპინძლა საფეხბურთო მატჩებს	2026 წელს სტადიონი უმასპინძლებს ყველა კალენდარულ, საფეხბურთო მატჩს	10% - დამოკიდებულია ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბის წარმატებულ თამაშზე. ასევე შესაძლებელია ჩატარდეს დაუგეგმავი სპორტული ღონისძიება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		200	890

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური
--	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია ქალთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</p>
-------------------------------	--

მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება.
--------------------	---

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	წარმატებული თამაში ეროვნულ ჩემპიონატში	2025 წელს ქალთა საფეხბურთო გუნდი ლანჩხუთის მონაწილეობს ეროვნულ ჩემპიონატში	2026 წელს ეროვნულ ჩემპიონატში გუნდი გეგმავს არანაკლებ საუკეთესო სამეულში მოხვედრას	ეროვნულ ჩემპიონატში გუნდი დაიკავებს პირველ, მე-2 ან მე-3 ადგილს

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		650	2940

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა
--------------------------------	---

ებელი სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის ჭაბუკთა 9 და გოგონათა 1 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 230 ბავშვი, აქედან ვაჟი 205 და გოგონა 25. რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 48 ადამიანი , 262 ადმინისტრაციული პერსონალი და 22 მწვრთნელი . სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> -ფეხბურთის პოპულარიზაცია -ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; -მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეს ქუჩისთვის <p>მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით</p>
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	სკოლაში არსებული ჯგუფების რაოდენობა	ფუნქციონირებს 9 ჯგუფი	2026 წელს დაემატება კიდე 1 ჯგუფი ჯგუფი	5%
	2	ბავშვების რაოდენობა	220 მოზარდი	2026 წელს მინიმუმ 230 მოზარდი დაემატება	5% - დამოკიდებულია მომართვიანობაზე
	3	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	2025 წელს სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს 80-მდე სპორტულ ღონისძიებაში	2026 წელს სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ არანაკლებ 90 სპორტულ ღონისძიებაში	5%
	4	სპორტული შეკრებების რაოდენობა	2025 ჩატარდა 5 სპორტული შეკრება	2026 წელს ჩატარდება არანაკლებ 5 შეკრება	5%

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		90	366
ქვეპროგრამის განმახორციელებელი ებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>ლანჩუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე-ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული, ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.</p>				
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა. მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, წარმატებული და ღვაწლმოსილი სპორტსმენების და მწრთნელების დაფასება და მათი მოტივაციის გაზრდა.</p>				
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>N</p>	<p>ინდიკატორის აღწერა</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</p>
<p>1</p>	<p>სპორტული ღონისძიებების რაოდენობა</p>	<p>2025 წელს ჩატარდა 30-მდე სხვადასხვა სპორტული ღონისძიება</p>	<p>2026 წელს დაგეგმილია არანაკლებ 40 სპორტული ღონისძიება</p>	<p>5% -</p>	
<p>2</p>	<p>დაჯილდოებული და წახალისებული სპორტსმენები</p>	<p>2025 წელს დაჯილდოვდა სპორტულ აქტივობებში მონაწილე 200-მდე პირი.</p>	<p>2026 წელს წინასწარი ვარაუდით დასაჯილდოებელი სპორტსმენების და მწრთნელების რაოდენობა გაიზრდება 50% ით.</p>	<p>5% -</p>	<p>დამოკიდებულია სპორტსმენების მიერ მიღწეულ შედეგებზე</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p> <p>05 02 01 01</p>	<p>კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა</p>	<p>2026 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>1917</p>	<p>2026-2029 დაფინანსება ათას ლარში</p> <p>8667</p>
--------------------------------	--------------------------------	---	--	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 5 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 267 აღსაზრდელი, აქედა გოგონა 159 და ბიჭი 108. ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 256-მდე მონაწილე.</p> <p>მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 112000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე.</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. პერიოდულად იმართება სპექტაკლები, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 2 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 1 ახალი წარმოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p>				
მოსალოდნელი შედეგი	<p>კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა.</p> <p>სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.</p>				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	მაყურებელთა რაოდენობა თეატრალურ წარმოდგენებზე	2025 წელს მაყურებელთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 1800კაცს	2026 წელს იგეგმება წარმოდგენების გამართვა 2000 მაყურებლისათვის	20%
	2	თეატრების მიერ დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	2025 წელს განხორციელდა 1 ახალი სპექტაკლი, განახლდა 2 სპექტაკლი	2026 წელს იგეგმება 1 ძველი სპექტაკლის აღდგენა	0%
	3	კულტურის სახლების ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა	2025 წელს ჯამში კულტურის სახლების მომსახურებით სარგებლობდა აღსაზრდელები	2026 განახლდება როგორც საესტრადო ისე ფოლკლორული წრეები და ისარგებლებს 257 აღსაზრდელი	20% - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა

4	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობა	2025 წელს ჯამში მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურებით ისარგებლა 450 მოსახლემ	2026 წელს იგეგმება არსებული 1500 კონტინგენტის მომსახურება	20% - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა
5	საერთო სახალხო დღესასწაულებში (ლანჩუთობა, ლელობურთი, სახალწლო ზეიმი) მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის ჩართულობა	2025 წელს ღონისძიებებში ლელობურთი, ლანჩუთობა, თევზის ფესტივალი მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობა	2026 წელს იგეგმება საერთო სახალხო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობისთვის	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		758,3	3308,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ - ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა.</p> <p>სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 315 ბავშვი. აქედან გოგონა 248 და ბიჭი 67. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 70 თანამშრომელს. პედაგოგი 54 ადმინისტრაციული პერსონალი 16.</p> <p>სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 202 ბავშვი. აქედან გოგონა 149 და ბიჭი 53</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი) .</p>			
მოსალოდნელი შედეგი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.			

	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული კულტურული ღონისძიებებში მონაწილეობა	2025 წელს სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს არანაკლებ 8 ღონისძიებაში	2026 წელს იგეგმება არანაკლებ 10 ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება	10%
	2	სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ბენეფიციარების რაოდენობა	2025 წელს ჯამში სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში დაწყებით სამუსიკო და სამხატვრო განათლებას იღებს 480 ბავშვი	2026 წელს გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით მოსალოდნელია ბავშვების რაოდენობის ზრდა 550 აღსაზრდელამდე	5% - გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად
	3	სამუსიკო სკოლების მიერ ფესტივალებში მონაწილეობა	2025 წელს სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 8 ფესტივალში	2025 წელს იგეგმება არანაკლებ 10 ფესტივალში მონაწილეობის მიღება	10% - დამოკიდებულია მოწვევების რაოდენობაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		85	375
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი		<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;</p>		

პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	კულტურულ პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა - 1000-მდე	კულტურის სფეროში ჩართული და მისით დაინტერესებული მოქალაქეების რაოდენობა	გაზრდილია კულტურის სფეროს მიმართ დაინტერესებულ ა მოქალაქეების ჩართულობა კულტურულ პროექტებში/ღონისძიებებში - 2000-მდე	5%
	2	კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების და ამ სფეროში წარმატებების წახალისების რაოდენობა -55 ადამიანი	კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების და ამ სფეროში წარმატებების წახალისების რაოდენობის ზრდა	გაზრდილია წახალისებული ადამიანების რაოდენობა 100-მდე	5%
	3	კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია	კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესების ზრდა	გაზრდილია კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესება	5%

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	05 03		35	170
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში.</p> <p>ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით.</p> <p>პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის-ინტეგრირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელება და ხელშეწყობა.			

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)
	1	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	2025 წელს დაფინანსდა 12 ახალგაზრდული პროექტი	2026 წელს გაიზრდება პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი 10 %-ით	5%

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,855.0	1,899.0	2,010.0	2,146.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	310.0	330.0	350.0	400.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	310.0	330	350	400
06 02	სოციალური დაცვა	1,545.0	1,569.0	1,660.0	1,746.0
06 02 01	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	176.0	180	190	200
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა	45.0	50	55	60
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	250.0	200	210	220
06 02 04	სარეაბილიტაციო ცენტრ "იანვანას" თანადაფინანსების პროგრამა	20.0	21	22	23
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	20.0	20	20	20
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	190.0	200	220	240
06 02 07	მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	106.0	120	130	140

06 02 08	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	55.0	58	58	58
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	130.0	140	150	150
06 02 10	ლანჩუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა	80.0	85	90	95
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	57.0	60	65	70
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	180.0	190.0	200.0	210.0
06 02 24	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	176.0	185	190	200
06 02 25	რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	60.0	60.0	60.0	60.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		310	1390
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ ლანჩუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი			

პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნოზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა <p>5 C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება (სკრინინგი)</p> <p>6 კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა</p> <p>7 C ჰეპატიტის მიდევნების პროგრამა (დადებითი ბენეფიციარების კონფირმაციულ კვლევებსა და მკურნალობაში ჩაბმის მომსახურება.</p> <p>8. მაღარის და სხვა ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების გავრცელების კერებში მათ წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა</p>																						
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;																						
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება																						
შედეგის შეფასების ინდიკატორი	<table border="1"> <thead> <tr> <th>#</th> <th>ინდიკატორის აღწერა</th> <th>საბაზისო მაჩვენებელი</th> <th>მიზნობრივი მაჩვენებელი</th> <th>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</th> <th>შესაძლო რისკი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td rowspan="3">1</td> <td>ა მაღარის დიაგნოსტიკა</td> <td>115</td> <td>110</td> <td>10%</td> <td>დაავადების საზღვარგარეთიდან შესაძლო შემოტანა</td> </tr> <tr> <td>ბ მაღარის სადეზინფექციო ღონისძიებები</td> <td>720000 კვმ</td> <td>750000</td> <td>5%</td> <td></td> </tr> <tr> <td>გ ინფექციური დაავადებები</td> <td>2200</td> <td>2300</td> <td>10%</td> <td>ახალი ინფექციების გავრცელება</td> </tr> </tbody> </table>	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	1	ა მაღარის დიაგნოსტიკა	115	110	10%	დაავადების საზღვარგარეთიდან შესაძლო შემოტანა	ბ მაღარის სადეზინფექციო ღონისძიებები	720000 კვმ	750000	5%		გ ინფექციური დაავადებები	2200	2300	10%	ახალი ინფექციების გავრცელება
#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი																		
1	ა მაღარის დიაგნოსტიკა	115	110	10%	დაავადების საზღვარგარეთიდან შესაძლო შემოტანა																		
	ბ მაღარის სადეზინფექციო ღონისძიებები	720000 კვმ	750000	5%																			
	გ ინფექციური დაავადებები	2200	2300	10%	ახალი ინფექციების გავრცელება																		

	2	ა	იმუნიზაციის ღირსძიებები (ბავშვთა გეგმიური აცრები)	4300	5000	5%	აცრის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენები
		ბ	იმუნიზაციის ღირსძიებები (გრიპის ვაქცინაცია)	170	200	5%	აცრის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენები
		გ	იმუნიზაციის ღირსძიებები (ანტირაბიული)	448	500	5%	აცრის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენები
	3	ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარჩვევების დამკვიდრება (ლექცია საუბრები)	100	120	5%		
	4	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებში სანიტარული ნორმების ზედამხედველობა	148	170	5%	შესაძლო გართულებები	

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	შპმ პირთა დახმარების პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
			176	746
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 02 01	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრამდე ტრანსპორტირებისთვის დაუფინანსდება ტრანსპორტირების ხარჯი თითო ბენეფიციარზე ყოველთვიურად 90 ლარის ოდენობით, ხოლო პერიტონიულ დიალიზზე მყოფ ბენეფიციარს დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრში თვეში 4 ვიზიტი 64 ლარის ოდენობით სხვა ქალაქში (ბათუმი). 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 16 ბენეფიციარმა საიდანაც 14 კაცი და 2 ქალი“</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შპმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ურეკში, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს, დახმარების თანხა დღიური 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. 2025 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა. საიდანაც ბიჭი 9 გოგო 18.</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, ასევე ქ. ლანჩხუთში მიმდებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები რომლებიც სარგებლობენ ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის</p>		

ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში განხორციელდება სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი თუ სკოლა ან/და ცენტრში მიწოდების შემთხვევაში, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯი. პროექტის ფარგლებში (თითო ბავშვთან თვეში 8 ვიზიტი) განხორციელდება. მგზავრობის საფასური შეადგენს 6 ლარს. ხოლო ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით **მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას.** მკურნალობის კურსი ტარდება 12 თვის განმავლობაში თვეში 10 დღე. ორიენტაცია აღებულია ქუთაისის, ჩაქვის, ბათუმისა და დაბა ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრებზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვისა და ერთი თანმხლები პირის ტრანსპორტირება მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციამდე და უკან (ქუთაისი, ბათუმი ერთი მიმართულებით 7 ლარი, ჩაქვი 6 ლარი, დაბა ურეკი 3 ლარი, შიდა გადაადგილებისთვის 2 ლარი სერვისის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწოდების შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება შპს „ავტო-2018“ მიერ მოწოდებული ფასების მიხედვით) მიმდინარე წელს ზემოაღნიშნული ქვეპროგრამები გათვლილია 105 ბავშვზე. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 103 ბენეფიციარმა საიდანაც ბიჭი 67 გოგო 36.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზრდასრული შშმ ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრის მომსახურებით შშმ პირთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ტრანსპორტირების თანადაფინანსება. თანადაფინანსება განხორციელდება ყოველკარტაკურად 1250 ლარის ოდენობით. პროგრამის განხორციელებით ზრდასრულ 9 შშმ ბენეფიციარის დღის ცენტრში ტრანსპორტირებას შეწყობა ხელი.

ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდარეტი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკით დაავადებული ბენეფიციარის დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა.

2025 წელს პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა . გოგო2 ბიჭი 2.

მოსალოდნელი შედეგი დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელია 179 ბენეფიციარის ფინანსური მხარდაჭერა.

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)
		1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 150 ბენეფიციარი	2026 წელს ისარგებლებს 179 ბენეფიციარი

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
			06 02 02	45

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 50(ორმოცდაათი) ლარს. პროგრამით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 12 მრავალშვილიანი ოჯახი. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 13 ოჯახმა- ბავშვების რაოდენობა 50, საიდანაც გოგო 44 ბიჭი 29.</p> <p>დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახზე, 2026 წელს შეძენილ მესამე და ყოველი მომდევნო ახალშობილის შეძენაზე- ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულის მიუხედავად. პროგრამით შესაძლებელი იქნება 15 ოჯახის ფინანსური დახმარება.</p>				
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 14 მრავალშვილიანი ოჯახის და მესამე და მომდევნო ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით 15 ოჯახის ფინანსური დახმარება.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 13 მრავალშვილიანი ოჯახი	2026 წელს ისარგებლებს 15 მრავალშვილიანი ოჯახი	2%

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		250	880
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და იმუნოჰისტოქიმიური კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 50 %-ით. ბიოფსია- თანადაფინანსება -50%, ენცეფალოგრამა- თანადაფინანსება 50%. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც დადასტურებული აქვთ ერთ-ერთი შემდეგი დიაგნოზი:</p> <ul style="list-style-type: none"> * ასაკობრივი მაკულარული დეგენერაცია, * დიაბეტური რეტინოპათია, * ბადურის ვეწის ოკლუზიით (თრომბოზით) გამოწვეული მაკულარული შეშუპება, 			

* წევრთა კვლავი გლაუკომა.

დაფინანსდება მედიკამენტი (ავასტინი) და პროცედურა (ინექციის გაკეთება) ერთ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში 2ჯერ სრულად. მომსახურებით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.

0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოპერაციული ჩარევის(სტაციონალური მომსახურება -გეგმიური ან გადაუდებელი, ასევე ჩატარებული) დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50%-ის თანადაფინანსებით, არაუმეტეს 1000 ლარისა. ბავშვები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის, ბიოფსიის ასევე ენცეფალოგრამის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“ 2025 წელს პროგრამიდან გაიცა 724 ადმინისტრაციული დაპირება. საიდანაც 321 ქალი 353 კაცი; 50 ბავშვი 11 გოგო და 39 ბიჭი

მოსალოდნელი შედეგი პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 730 ბენეფიციარი.

	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
შედეგის შეფასების ინდიკატორი		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 724 ბენეფიციარი	2026 წელს პროგრამით ისარგებლებს 730 ბენეფიციარი	10% - შეუძლებელია ზუსტი გათვლის გაკეთება. პროგრამაზე გაიზარდა მოთხოვნა და შესაბამისად გაზრდილია პროგრამის მიზნობრივი მაჩვენებელი

პროგრამის დასახელება	კოდი	სარეაბილიტაციო ცენტრ "ივენანას" თანადაფინანსების პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		20	86
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სილატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციის ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი "იანანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 12 გოგომ 12 ბიჭმა.				
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართ რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 24 ბენეფიციარი	2026 წელს ისარგებლებს 24 ბენეფიციარი	5%

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში	
	06 02 05		20.0	80	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლამდე და სკოლიდან, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა (სასულიერო გიმნაზია. სულ 115 მოსწავლე). 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 115 ბენეფიციარმა გოგო 59 ბიჭი 56.				
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას. პროგრამით შესაძლებელი იქნება 115 მოსწავლის ტრანსპორტირებაში ხელშეწყობა.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართ რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 115 ბენეფიციარი	2026 წელს ისარგებლებს 115 ბენეფიციარი	2%

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა			2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06				190	850
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის დღეში ერთჯერადად საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 103 ბენეფიციარმა საიდანაც ქალი 53 კაცი 50 .					
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამა ხელს შეუწყობს 115 ბენეფიციარის საკვებზე ხელმისაწვდომობას.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართ რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 103 ბენეფიციარი	2026 წელს ისარგებლებს 115 ბენეფიციარი	2%	

პროგრამის დასახელება	კოდი	მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა			2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07				106	496
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	დევენლთა ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშუალო მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 82 ოჯახი (268 დევნილი) 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 43 ოჯახმა საიდანაც კაცი 15 ქალი 28. - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურად დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) ხანდაზმულები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშუალო მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; პროგრამის ფარგლებში იმ ბენეფიციარებს რომლებიც ვერ სარგებლობენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვერც ერთი პროგრამით და მუნიციპალიტეტისთვის მომართვისას განიცდიან მძიმე ეკონომიურ სიდუხჭირეს რაც დასტურდება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობით და თანდართული დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომლის					

	<p>ოდენობაც ოჯახის მიმღე ეკონომიური სიდუხჭირის გათვალისწინებით შეიძლება აღმატებოდეს 150 ლარს. სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შექმნა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის. 2025 წელს დახმარება გაიცა 396 ბენეფიციარზე საიდანაც კაცი 228. ქალი 168 . მათ შორის საშემე მერქნის შესაძენად 47 ბენეფიციარზე საიდანაც ქალი 42 კაცი 5.</p> <p>-ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1500(ათასხუთასი) ლარის ოდენობით. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს) . 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა. ქალი 1.</p> <p>მუნიციპალიტეტში უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.</p> <p>შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლილის ოჯახის სრულწლოვანი წევრები არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარიტუალო მომსახურებაზე ფინანსური დახმარების გაცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე. 2025 წელს დახმარება გაიცა 7 უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე ქალი 2 კაცი 5 -ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 7 ბავშვმა საიდანაც ბიჭი 4, გოგო 3.</p>										
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დევენილი ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. მარტოხელა ხანდაზმულების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურად დაუცველი მშობლის რომელიც მარტო ზრდის არასრულწლოვან შვილს/შვილებს ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. მიმღე ეკონომიურ სიდუხჭირეში მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარება. 100 და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულების ფინანსური დახმარება. დედამამით ობოლი და შშმ ობოლი ბავშვების ფინანსური დახმარება და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის ფინანსური დახმარება. ფინანსური დახმარება გათვლილია ჯამში 596 ოჯახზე.</p>										
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th>#</th> <th>ინდიკატორის აღწერა</th> <th>საბაზისო მაჩვენებელი</th> <th>მიზნობრივი მაჩვენებელი</th> <th>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა</td> <td>2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 454 ოჯახი</td> <td>2026 წელს ისარგებლებს 596 ოჯახი</td> <td>5%</td> </tr> </tbody> </table>	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 454 ოჯახი	2026 წელს ისარგებლებს 596 ოჯახი	5%
#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)							
1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 454 ოჯახი	2026 წელს ისარგებლებს 596 ოჯახი	5%							

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 06 02 08</p>	<p>ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა</p>	<p>2026 წლის დაფინანსება ათას ლარში 55</p>	<p>2026-2029 დაფინანსება ათას ლარში 229</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური</p>			

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამით გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 9 ბენეფიციარი) და 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) 500 ლარით დახმარება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (70 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება. დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 300 ლარით (13 ვეტერანის დედა). ომში დაღუპული მეომრების საპატივცემოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შექმნა (1 000 ლარი). აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 1000 ლარი. 2025 წლის პროგრამით განხორციელდა 82 ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება. ქალი 29 კაცი 53.</p>				
მოსალოდნელი შედეგი	<p>ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 85 ბენეფიციარზე.</p>				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილე ბის ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 82 ბენეფიციარი	2026 წელს ისარგებლებს 85 ბენეფიციარი	2%

პროგრამის დასახელება	კოდი	<p>მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა</p>	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		130	570
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური</p>			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 66 ოჯახმა საიდანაც ქალი 73კაცი 51 ბიჭი 40 გოგო 35</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით</p>			

უზრუნველყოფა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 60 ოჯახის დახმარება.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 66 ბენეფიციარი	2025 წელს ისარგებლებს 60 ბენეფიციარი	15%

პროგრამის დასახელება	კოდი	ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		80	350
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრები ფსიქოლოგთან ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ტრენინგი - 800 ლარი. ფიზიკური რეაბილიტაციის ტრენინგი- 500 ლარი. სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის- 22000ლარი ;მოწვეული სპეციალისტების მომსახურება(კონსულტაცია)- 800 ლარი; პაციენტების ტრანსპორტირება სამედიცინო კვლევებზე 2000 ლარი ;საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება-1800 ლარი; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება -4800 ლარი ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება)-1400 ლარი; მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა-600 ლარი; პროგრამის საოპერაციო ხარჯი-1000 ლარი . 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 19 კლუბის წევრმა ქალბატონმა.</p> <p>მეორე მიმართულებაა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რისკების მართვა და ადრეული გამოვლენა, რომელსაც "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" თანამშრომლობის მემორანდუმით ან/და ხელშეკრულებით ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრი განახორციელებს. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ქალთა პოპულაციაში მნიშვნელოვნად იმატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი ავადობამ. ამასთან დადასტურებული ფაქტია, რომ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის საშუალებას მხოლოდ რეგულარული სკრინინგი იძლევა. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში, არ ახდენს გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხზე, ხასიათდება გადარჩენადობის მეტად მაღალი პროცენტით. ქალთა პოპულაციაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის და ადრეული გამოვლენის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ 25 -დან 70 წლის ჩათვლით მაღალი რისკის მქონე ქალებს, ასაკობრივი ჯგუფის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალბატონებს, მათ შორის დევნილებს და იმულებით გადაადგილებულ პირებს რომელთა მიწერის ადგილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.სკრინინგის პროგრამა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს:1. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევა;2 ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევის შედეგად კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია;3 ექოსკოპიურად ავთვისებიანობაზე საეჭვო კვანძის არსებობის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრას სისხლში;4 ჩვენების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღება ბიოფსიური მასალის შემდგომი ციტოლოგიურ კვლევით; კვანძოვანი პათოლოგიის არ არსებობის შემთხვევაში განმეორებითი სკრინინგი ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კვანძოვანი პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში სკრინინგ პროგრამით განმეორებითი კვლევების სიხშირეს განსაზღვრავს ენდოკრინოლოგი - 3, 6 ან 12 თვეში</p>			

ერთხელ. ფარისებრი ჯირკვალის კიბოს ან კიბოსწინა დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში მოქალაქე გადამისამართდება სპეციალიზირებულ პროფილურ დაწესებულებაში.

პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები:

- ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი;
- ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში;
- გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება;
- დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები;
- ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები;
- ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები;
- ზ) სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო;
- თ) კისრის ლიმფადენოპათია;
- ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება;
- კ) უნაყოფობა.

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის მართვა - ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა - 25,0 ლ. ფარისებრი ჯირკვალში კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია - 25,0 ლ. ექოსკოპიურად ავთვისებიანობაზე საეჭვო კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრა სისხლში - 25,0 ლ. ფარისებრი ჯირკვლიდან ბიოფსიური მასალის აღება და მასალის ციტოლოგიური კვლევა - 35,0 ლ. პროგრამით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 700 ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსება. 2025 წელს ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი ჩაიტარა 698 ქალმა ასევე პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა გამარჯვებულ ქალთა კლუბის 19 ქალბატონმა.

მოსალოდნელი შედეგი მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა, მათი ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 19 კლუბის წევრის დახმარება. ხოლო 700 ბენეფიციარზე შესაძლებელი იქნება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის დაფინანსება.

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 698 ბენეფიციარი		2026 წელს ისარგებლებს 700 ბენეფიციარი

პროგრამის დასახელება	კოდი	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12			57

		ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით</p> <p>დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში- არაუმეტეს 7 000 ლარისა. პროგრამის განხორციელებაზე</p> <p>პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად, სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დგინდება</p> <p>დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აუცილებლობა, რაც მოწმდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი საბუთების მეშვეობით. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. გასულ წელს პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა. საიდანაც 14 ქალი 13 კაცი.</p> <p>-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქალთა მიმართ ან და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. 2025 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. (ქალი 4)</p> <p>-ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 21 წლის ჩათვლით ახალგაზრდების ფინანსურ დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა საიდანაც კაცი 3 ქალი 2.</p>				
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში ხელშეწყობა. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება. პროგრამა გათვლილია დაახლოებით 45 ბენეფიციარზე.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით ისარგებლა 36 ბენეფიციარმა	2026 წელს პროგრამა გათვლილია 45 ბენეფიციარი	15% - დამოკიდებულია მომართვიანობაზე და სახლის დაზიანების სიმძიმეზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 23		180	780
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 და F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოფნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამით სარგებლობენ ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების ოდენობამ უნდა შეადგინოს 13 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში გ) ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ) თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება. „მუნიციპალიტეტი დაფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 500(ხუთასი) ლარისა .ანგარიშგება 1. სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია განმახორციელებელს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია. 2. ანგარიშგებისას მომწოდებლის მიერ</p>			

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი

	წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი(ანგარიშგაქტურა) 3. შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. 2025 წელს პროგრამით ისარგებლა 44 ბენეფიციარმა საიდანაც ბიჭი 34 გოგო 10.				
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების მკურნალობის ჩატარებაში ხელშეწყობა, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 45 ბენეფიციარის დახმარება.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 44 ბენეფიციარი	2026 წელს პროგრამა გათვლილია 45 ბენეფიციარზე	5%

პროგრამის დასახელება	კოდი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 24		176	751
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუხლი 1 პროგრამის მიზანი</p> <p>პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა პერსონალური ასისტენტის საშუალებით.</p> <p>მუხლი 2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი</p> <p>1. პროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირები, რომელთაც ესაჭიროებათ პერსონალური ასისტენტის მომსახურება.</p> <p>2. მომსახურების მიღების მსურველი პირი პროგრამაში ერთვება სამინისტროს მიერ სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ მომზადებული პერსონალური ასისტენტის საჭიროების შესაფასების კითხვარის საფუძველზე.</p> <p>3.პროგრამაში ვერ ჩაერთვება:</p> <p>ა) პირი რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში დიდ ინსტიტუციაში, 24 საათიან სათემო და/ან მცირე საოჯახო მომსახურებაში;</p> <p>ბ) არის ამ ქვეპროგრამის ღონისძიებების მსგავსი შონმოვლის ან პერსონალური ასისტენტის სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამის/მომსახურების მოსარგებლე.</p> <p>მუხლი 3. პროგრამაში ჩართვის პროცედურა</p>			

1. მომსახურების მიღების მსურველი შშმ პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას. შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) განაცხადის ფორმა;

ბ) ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერისასლი(ფორმაNIV-50/4)ან შშმ პირთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემიდან ამონაწერი.

2. მუნიციპალიტეტში საბუთების წარდგენის შემდგომ პროგრამაში ჩასართავად(პერსონალური ასისტენტის მომსახურების მისაღებად), მუნიციპალიტეტი სამედიცინო დაწესებულებას უგზავნის განაცხადს ბენეფიციარის შესაფასებლად; ბენეფიციარი ფასდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022წლის 18 თებერვლის N01-13/5 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების პროცედურისა და შეფასების კითხვარის საფუძველზე, განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას(რეგულარული/სპეციალიზირებული)

3. შეფასების შემდგომ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას/დასკვნას. შეფასების დასკვნა ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის მიზნით.

4. მუნიციპალიტეტი განიხილავს პროგრამაში ჩართვის შესახებ მიღებულ განცხადებას და მიღებული დოკუმენტების საფუძველზე იღებს პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილებას არაუგვიანეს განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რასაც უგზავნის მომსახურების მიმღებ პირს საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების სიას და საკონტაქტო ინფორმაციას.

5. მუნიციპალიტეტი ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი;

ბ) ფუნქციური შეფასების დაბალი ქულა;

დ) მიმართვის თარიღი;

დ) სოციალურად დაუცველი.

მუხლი 4. პროგრამის ღონისძიებების შესრულების ინდიკატორები

პრიორიტეტული ჯგუფები: 1) მარტო მცხოვრები შშმ პირი;

2.) დასაქმებული შშმ პირი.

3) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრი შშმ პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს

4) პროფესიული კოლეჯის 18+ სტუდენტი და ა.შ.

1. მომსახურების მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით შეფასებისას გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, პერსონალური ასისტირება იყოფა ორ კატეგორიად: რეგულარული და სპეციალიზებული. რეგულარული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, მომსახურება ითვალისწინებს თვეში არაუმეტეს 60 საათს, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, თვეში არაუმეტეს 120 საათს. ასისტირების სახეობა განისაზღვრება მომსახურებაში ჩართვის დროს შეფასების პროცესში.

2. პროგრამის ღონისძიებების ფარგლებში უზრუნველყოფილია:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსარგებლის მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილების და შესაბამისი არამატერიალიზებული ვაუჩერის გაცემიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში მომსახურების მიმწოდებლის ვიზიტი საცხოვრებელ ადგილზე და მოსარგებლის მონაწილეობით (საჭიროების შემთხვევაში მხარდამჭერის/მისი კანონიერი წარმომადგენლის დახმარებით) ასისტირების საჭიროებების დეტალური შეფასება. მოსარგებლეს შეუძლია მომსახურების მიმწოდებლის შერჩევა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (თუ არის არჩევანის საშუალება);

ბ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოსარგებლის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების მართვის სტანდარტების“ შესაბამისად, შემდეგი მომსახურებების მიწოდება: კვებაში დახმარება, თავის მოვლა, ჩაცმაში დახმარება, საოჯახო საქმე საყიდლებზე სიარული, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მხარდაჭერა, მუშაობისა და დასვენების დღის დაგეგმვა ან/და სხვა აქტივობებში ასისტირება, რაც არ არღვევს ასისტენტის შრომით და სხვა უფლებებს. ამასთან, მომსახურების მიმღები პირი უზრუნველყოფილია მისთვის განკუთვნილი მომსახურების კომპონენტის შერჩევის შესაძლებლობით, რაც გულისხმობს როდის, სად, როგორ და რომელი აქტივობებისა და ამოცანების შესრულებაში გაუწევს დახმარებას პერსონალური ასისტენტი;

გ) შეფასების საფუძველზე მომსახურების მიმწოდებლისა და მომსახურების მიმღები პირის მიერ პერსონალური ასისტენტის შერჩევას (პერსონალურ ასისტენტ(ებ)ად არ შეიძლება შეირჩეს მომსახურების მიმღები პირის შვილები, მშობლები, მეუღლე, და-ძმები ან/და მომსახურების მიმღებ პირთან ერთად მუდმივად მცხოვრები პირები, ასევე სასამართლოს მიერ დანიშნული მხარდამჭერი). საბოლოო გადაწყვეტილებას პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიღების თაობაზე იღებს თავად მომსახურების მიმღები პირი (საჭიროების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის დახმარებით). ერთი ასისტენტი შეიძლება ემსახუროდეს რამდენიმე მომსახურების მიმღებ პირს, თუკი ეს ხელს არ უშლის რომელიმე მომსახურების მიმღები პირისთვის მომსახურების სრულად და ხარისხიანად განხორციელებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმღებ პირთან შეთანხმებით მასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა სფეროს სპეციალისტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანამშრომლობას და არსებული ინდივიდუალური მომსახურების გეგმების მიზნების შესაბამისად მომსახურების მიმღები პირის დანიშნული პროცედურების/დავალებების შესრულებაში, უნარების განვითარებაში დახმარებას.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 176000 ლარით
2. მომსახურებისთვის გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა რეგულარული ასისტირების შემთხვევაში შეადგენს თვეში არაუმეტეს 720 ლარს, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების შემთხვევაში – თვეში არაუმეტეს 1 560 ლარს.
3. მომსახურების ასანაზღაურებლად გამოიყენება არამატერიალიზებული ვაუჩერი.
4. არამატერიალიზებული ვაუჩერი ფინანსდება არაუგვიანეს მომსახურების გაწევის შემდგომი თვის ამოწურვამდე. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევის თვის მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით (იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა), მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მომსახურების მიმღების (შესაბამის შემთხვევაში მხარდამჭერის/კანონიერი წარმომადგენლის) მიერ წინა თვეში გაწეული

მითითებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს მომსახურების მიმღების (შესაბამის შემთხვევაში მხარდამჭერის/კანონიერი წარმომადგენლის) ხელმოწერით. ამასთან, მომსახურების

მიმწოდებლის მიერ ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ სამუშაო დღეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას გამოაკლდება ასანაზღაურებელი თანხის 10%. 5 სამუშაო დღეზე მეტი დღის დაგვიანების შემთხვევაში წარდგენილი არამატერიალიზებული ვაუჩერის ტალონი დაფინანსებას არ ექვემდებარება.

5. თუ მოსარგებლის (მოსარგებლების) მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილ ვიზიტთა რაოდენობა ნახევარი ან მეტია, არამატერიალიზებული ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა გამოიანგარიშება მოსარგებლის განხორციელებული ჩატარებული საათების რაოდენობის ნამრავლით რეგულარული ასისტირების შემთხვევაში 12 ლარზე, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების შემთხვევაში 13 ლარზე.

6. არამატერიალიზებული ვაუჩერი განკუთვნილია მიწოდებული მომსახურების დაფინანსებისათვის, არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში. მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ მომსახურების მიმღები პირის საჭიროებათა შეფასების და ინდივიდუალური მომსახურების გეგმის გადახედვის საფუძველზე არამატერიალიზებული ვაუჩერის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ავტომატურად, მათ შორის, წინა წელს ამავე ქვეპროგრამით მოსარგებლებზე (მათ შორის, მუდმივი შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირის შემთხვევაში).

7. ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების დაფინანსების აუცილებელი დამატებითი პირობა შეიძლება იყოს მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მუნიციპალიტეტში წარდგენა, მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი ფორმით.

8. არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების საფუძველი:

ა) მომსახურების მიმღების მიერ მისი ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა;

ბ) საპილოტე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეწყვეტა ან ერთდროულად 2 თვეზე მეტი ხნით შეჩერება, რის შესახებ ინფორმაციას მიმწოდებელი ერთი თვით ადრე წერილობით აცნობებს მომსახურების მიმღებს/მხარდამჭერს/კანონიერ წარმომადგენელს, მუნიციპალიტეტს და სამინისტროს;

გ) მომსახურების მიმღების საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მომსახურების საპილოტე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის არეალს.

9. არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერია. არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ავტომატურად იწვევს სამმხრივი ხელშეკრულების გაუქმებას.

10. მომსახურების მიმღების პროგრამაში ხელახლა ჩართვა მოხდება ყველა დადგენილი პროცედურის ხელახლა გავლით.

11. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ პროგრამისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N01-13/ნ ბრძანების შესაბამისად.

12. პერსონალური ასისტირების საჭიროების შეფასების კითხვარის ერთ დადებით შეფასებაზე დაფინანსებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 25 ლარს. თანხის ანაზღაურება ხორციელდება შეფასებაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 6. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი

	პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მომწოდებელია სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ორგანიზაცია.				
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა პერსონალური ასისტენტის საშუალებით. პროგრამით შესაძლებელი იქნება 17 შშმ პირის დახმარება.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 17 ბენეფიციარი	2026 წელს ისარგებლებს 17 ბენეფიციარი	5%

პროგრამის დასახელება	კოდი	რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 დაფინანსება ათას ლარში
	06 02 25		60	240
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პირობები არსებობს ძალადობის მაღალი რისკი; (უგულეზელყოფილია ბავშვის უფლებები, ბავშვი ვერ იღებს განათლებას; არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ბავშვი განიცდის ფიზიკურ ან/ და ფსიქოლოგიურ ძალადობას) ოჯახს გაეწევა დახმარება საჭიროების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბავშვის სოციალური მუშაკის და ტრეფიკინგის მხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასების/დასკვნის გათვალისწინებით. ბენეფიციარს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაეწევა როგორც ფინანსური (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ასევე ბავშვების ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების, იმ სპეციალისტების კონსულტაციის დაფინანსება, რომელსაც საყოველთაო ჯანდაცვა არ აფინანსებს და არც მუნიციპალური პროგრამებით არ არის გათვალისწინებული რაზეც ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტის მიერ გაიცემა რეკომენდაცია) ასევე არაფინანსური (სწავლება/გადამზადება, ფსიქოლოგიის დახმარება, ადვოკატირება) დახმარება ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით არაუმეტეს 7000 (შვიდიათასი) ლარისა. პროგრამა გათვლილია 10 ოჯახზე.</p> <p>ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით მერიის ბავშვის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე განხორციელდება მშობლების შერჩევა მათი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, განხორციელდება ე.წ. „პოზიტიური მშობლის“ პროგრამა. ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბავშვის ასაკობრივი კრიზისების დამლევაზე და ა.შ. განხორციელდება მშობლებისთვის ცნობიერების ამაღლება. მუნიციპალიტეტი „პოზიტიური მშობლის“ სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების შესყიდვის გზით. პროგრამა გათვლილია 10 ბენეფიციარზე. პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება გაეწევა ფინანსური დახმარება.</p>			

	<p>გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. მათი საჭიროებების გათვალისწინებით.</p> <p>სოციალური მუშაკის მიერ პერიოდულად განხორციელდება მონიტორინგი 6 თვის განმავლობაში. 2025 წელს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 7 ოჯახზე. 7 ოჯახში ბავშვების რაოდენობა 16 საიდანაც გოგო 10 ბიჭი 6.</p>				
მოსალოდნელი შედეგი	0- დან 18 წლამდე რისკის ქვეშ მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. მშობლების და ბავშვების ცნობიერების ამაღლება, ბავშვების სოციალიზაცია. ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერება, რაც შეამცირებს ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანის რისკს. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)
	1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2025 წელს პროგრამით სარგებლობდა 7 ოჯახი სულ 16 ბავშვი	2026 წელს ისარგებლებს 25 ბენეფიციარი	5%

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,726.7	6,930.0	7,200.0	7,410.0